ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 13 (18)   15 VII 1990

# ქაქუცა

მონური სულისა და უგადრუკი ცხოვრების გამო დავიწყებული, ბედკრული სამშობლოსთვის თავგადადებული და ამ სიბედკრულივითვე უცხოეთში გადახვეწილი, ერთი-ორი თვისტომის ამარა დარჩენილი და საქართველოს თავისუფლებაზე ფიქრით სულეთს წასული დღეს დაგვიბრუნდა.

დაგვიბრუნდა ვაჟკაცობისა და რაინდობის სიმბოლოდ. პირველად რომ გამოჩნდა მისი სურათი ხალხმრავალ მიტინგებზე, ბევრმა ვერ იცნო. მერე და მერე თანდათან იმატა ჩურჩულმა: ქაქუცა, ქაქუცა, ქაქუცა!.. მერე ცრემლმაც იმატა — მონანიებისა და სიამაყის ცრემლმა. ახლაც არ გვილხინს, ახლაც ნდვარჯზე დგას საქართველო, ვიღაც ხელაც ამზადებს ილიასათვის დასახლელ ტყვიასა და ქაქუცას შთამომავლებთან საბრძოლველადაც აჟღარუნებს იარაღს... მაგრამ ვერაფერს გახდებიან. რადგან ჩვენშივე ვკლავთ მონურ სულს და მონანიების ცრემლიანი თვალით შევყურებთ ვაჟკაცობისა და რაინდობის სიმბოლოდ დაბრუნებულს — გადავრჩებით!

## პოზიცია თუ ოპოზიცია?

მიუხედავად ამ პოზიტიური მომენტებისა, არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ყრილობის მუშაობამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მე ველოდი სერიოზულ, პროფესიულ საუბარს, რომელიც, სამწუხაროდ, არ შესდგა. ზედმეტად დიდი ყურადღება დავუთმეთ წვრილმანი საკითხების განხილვას, პირადი სიმპათია-ანტიპათიების აწონ-დაწონვასა და ანგარიშსწორებას. ჩვენი დღევანდელი დღე კი, თავისი სირთულითა და განსაკუთრებულობით, გაუზრის უფრო დინჯ, უფრო ანალიტიკურ მიმართულებას მოითხოვდა. ის ექსტრემალური სიტუაცია, რომელშიც ჩვენ დღეს გვიხდება ცხოვრება, უთუოდ გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ფსიქიკაზე და არ გვაძლევს საშუალებას მშვიდი და დინჯი განსჯისა. (მე-2 გვ.)

## არიადნეს ძაფის ძიებაში

მკვლელობა ისეთი ამაზრზენი და საშინელი იყო, რომ მრავალ დამცირებასა და გაჭირვებას შეჩვეული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშები გაიფიცნენ და რუსთავის სტადიონზე შეიკრიბნენ. სიტუაცია უმართავი გახდა და თვით ცკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე იძულებული შეიქნა, რუსთავში პირადად ჩასულიყო აბობოქრებული რუსთავის მშრომელების დასაშოშმინებლად. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა სტალინის შემდგომი ტირანია ზეობის ზენიტში იყო და სულ ადვილად შეიძლებოდა, საზარელი მკვლელობით აღშფოთებულ რუსთაველ მუშებს 1956 წელს თბილისის ქუჩაში გამოსული ახალგაზრდების ბედი გაეზიარებინათ. თუ როგორ ჩაიარა ცკ-ს მაშინდელი პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის დაპირებამ, ქვემოთ დავრწმუნდებით (მე-8 გვ.).

## ტერორისტის ჩანაწერები

როდესაც გამოძიება დაიწყო, საკმაოდ გამბედავად ვიყავი განწყობილი. გამოძიება ცდილობდა ჩემს დაბნევას და თავიდანვე რომ მიუგნებელი არაფერი დარჩენოდათ, მოითხოვდნენ ჩემი ანტისაბჭოთა მოქმედების აღიარებას. მე კი იმდენი გამოცდილება უკვე მქონდა მიღებული, რომ არ მელაპარაკა იმაზე, რაც მათ არ იცოდნენ. ამიტომ ვუცდიდი მათ მიერ ბრალდების წამოყენებას.

ჩემი ანტისაბჭოთა მოქმედებაა ის, რომ მე საბჭოთა კავშირში დავიბადე, — გაბრაზებულმა განვუცხადე გამომძიებელს (მე-7 გვ.).

# სსფ-ს II ყრილობა

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის მუშაობა დროებით შეწყვეტილია. ყრილობის მუშაობის ოთხი დღის მანძილზე განიხილეს და დააზუსტეს ახალი წესდების ზოგიერთი პუნქტი, სსფ-ს პროგრამის ცვლილებები და დამატებანი.

ყრილობამ, ახალი წესდების შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურული ცვლილების შესახებ. ყრილობებს შორის სსფ-ს უმაღლესი ორგანო იქნება 88 წევრისაგან შემდგარი დარბაზი. აქედან 44 კაცს აირჩევს ყრილობა, ხოლო დარბაზის დანარჩენი წევრები რეგიონული ფრონტებიდან იქნებიან წარმოდგენილნი. დარბაზი შეიკრიბება თვეში ორჯერ.

სახალხო ფრონტის მუშაობაში კვლავ მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა დარგობრივი კომისიები.

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ კიდევ ორი წლის ვადით ყრილობამ არსებითად ერთსულოვნად აირჩია ბატონი ნოდარ ნათაძე.

დარბაზის წევრები ჯერ არ არიან არჩეულნი.

სამწუხაროდ, ყრილობის მუშაობის მანძილზე დიდი დრო მიმქონდა არაარსებით, მეორეხარისხოვან საკითხებზე მსჯელობას და არაკონსტრუქციულ გამოსვლებს. სხვა ფაქტორებთან ერთად, უთუოდ ესეც გახდა იმის მიზეზი, რომ ყრილობამ ვერ დაასრულა მუშაობა განსაზღვრულ დროში.

ცხარე კამათი გაიმართა იმის თაობაზე, დარჩნენ თუ არა სახალხო ფრონტში კომპარტიის წევრები (საბოლოოდ კომპარტიის წევრებს მიეცათ 2 თვე თვითგამორკვევისთვის). ეს კიდევ ერთი, სრულიად ზედმეტი დაპირისპირება, შეიძლება ადვილად აგვეცილებინა თავიდან, ყრილობას რომ განეხილა სახალხო ფრონტის სტრუქტურული შემადგენლობის ის პროექტი, რომელზეც დელეგატმა თენგიზ ჩაჩავამ ილაპარაკა. კერძოდ, საკითხი იმის თაობაზე, რომ რაკი სახალხო ფრონტი აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, სახალხო ფრონტში შეიქმნას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური ორგანიზაციის ფრაქციები. ზემოთხსენებული წინააღმდეგობის თავიდან აცილების გარდა, სახალხო ფრონტის ამგვარი სტრუქტურა გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა მის წევრთა პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციის განსაზღვრაში, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია მომავალი საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურად გამართულად წარმართვისათვის (აქვე დავძენთ — გაუთავებელი მოთხოვნა იმისა, რომ ხმა მივცეთ ღირსეულ კანდიდატებს, საკმაოდ დიდი პრობლემის გამარტივებად მიგვაჩნია, რადგან დეპუტატთა არჩევისას კანდიდატების პროფესიული ღირსებები სავსებით არამნიშვნელოვანია, ხოლო პიროვნული ღირსებების მოთხოვნა ელემენტარული აუცილებლობაა, მაგრამ სრულიად არასაკმარისია მომავალი პარლამენტის დაკომპლექტებისათვის. დეპუტატთა არჩევის დროს ამომრჩეველთა უპირველესი ორიენტირი უნდა იყოს ხმა თუ იმ კანდიდატის პოლიტიკური პოზიცია; საკითხის იმგვარად დასმა როგორც ეს ჯერჯერობით ხდება, პოლიტიკური ინფანტილიზმია. რეალურად კი, ამ მდგომარეობას ჩვენმა საზოგადოებამ უკვე ერთგვარად თავი დააღწია).

ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ბატონი ნოდარ ნათაძის ინიციატივით მიღებული დადგენილება იმის თაობაზე, რომ არც ერთ დეპუტატს არა აქვს უფლება საქართველოს შეყვანისა ნებისმიერ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, თუ რესპუბლიკასთან, სანამ არ იქნება აღდგენილი საქართველოს რეალური სუვერენიტეტი და საქართველოს ტერიტორიიდან არ იქნება გაყვანილი საოკუპაციო ჯარი. ამ წინადადებას ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა უახლოეს მომავალში განაგრძობს მუშაობას.

„საქართველოს" კორ.

ერთი წელი გავიდა აფხაზეთში დატრიალებული საშინელი ტრაგედიიდან. მტერი ვერაგი და ძლიერია, მაინც მოახერხა, მაინც გადაკიდა ძმა ძმას. გლოვობს აფხაზეთი და გლოვობს საქართველო, ქირქილებს მტერი.. როდემდე? ღმერთო, დაგვიფარე!..

# პოზიცია თუ ოპოზიცია?

**მართალია,** სახალხო ფრონტის II ყრილობას მუშაობა არ დაუმთავრებია, მაგრამ, ჩემის აზრით, ზოგიერთი მოსაზრება მაინც შეიძლება გამოითქვას. ყრილობამ განიხილა პროგრამა და წესდება, მიიღო ზოგიერთი სასიკეთო გადაწყვეტილება და რაც მთავარია, ერთსულოვნად მისცა ხმა ბატონ ნოდარ ნათაძეს. დარწმუნებული ვარ, რომ თუ სახალხო ფრონტი დღეს ჩვენი საზოგადოების ნდობას იმსახურებს, ეს ნდობა ბატონ ნოდარ ნათაძის პიროვნული თვისებებითა და ავტორიტეტითაა მრავალწილად განპირობებული.

მიუხედავად ამ პოზიტიური მომენტებისა, არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ყრილობის მუშაობამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მე ველოდი სერიოზულ, პროფესიულ საუბარს, რომელიც სამწუხაროდ, არ შესდგა. ზედმეტად დიდი ყურადღება დავუთმეთ წვრილმანი საკითხების განხილვას, პირადი სიმპათია-ანტიპათიების აწონ-დაწონვასა და ანგარიშსწორებას. ჩვენი დღევანდელი დღე კი, თავისი სირთულითა და განსაკუთრებულობით, საუბრის უფრო დინჯ, უფრო ანალიტიკურ მიმართულებას მოითხოვდა. ის ექსტრემალური სიტუაცია, რომელშიც ჩვენ დღეს გვიხდება ცხოვრება, უთუოდ გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ფსიქიკაზე და არ გვაძლევს საშუალებას მშვიდი და დინჯი განსჯისა.

ყრილობის მუშაობის დროს, ბატონმა ნოდარ ნათაძემ თავის გამოსვლაში შენიშნა, რომ სახალხო ფრონტი არის არა ოპოზიცია, არამედ პოზიცია. რა თქმა უნდა, როგორც ყრილობაზეც აღინიშნა, თავისთავად პოზიცია, ან ოპოზიცია თვალთახედვის საკითხია, მაგრამ მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ვერ დავეთანხმები ბატონ ნოდარს, რომ სახალხო ფრონტის ყველა მარცხის მიზეზად სწორედ მკვეთრად გამოხატული პოზიციის უქონლობა მიმაჩნია. ჩვენი სახალხო ფრონტი შეუძლებელს ცდილობს — გააერთიანოს მეტისმეტად ჭრელი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური შეხედულებების მქონე პიროვნებები. იქნებ, სწორედ ეს იყო მიზეზი მათთვის, ვინც დატოვა სახალხო ფრონტი და სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებში გადავიდა. არც ის არის გამორიცხული, რომ სახალხო ფრონტში არსებული ვითარება, გარკვეული სულიერი დისკომფორტის შემქმნელია.

ცხადია, ჩემი ეს მოსაზრება, არ უნდა იყოს გაგებული ზედმეტად სწორხაზოვნად — სულაც არ ვისურვებდი, რომ სახალხო ფრონტში ერთი რომელიმე აზრის დიქტატი სუფევდეს, არა. აზრი მრავალი უნდა იყოს, მაგრამ პოზიცია უნდა იყოს ერთი, პოზიცია, ამ ცნების ფართო გაგებით. ბუნებაში არსებობს პოზიციათა შეუთავსებლობა. ვფიქრობ, სწორედ ეს იყო მიზეზი, მაგალითად, ფორუმში მომხდარი განხეთქილებისა. ფორუმში შეიქმნა პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი, და, ამდენად, შეუთავსებელი. ჩვეულებრივ, ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში აზრთა ასეთი დაპირისპირება მოსალოდნელია და სავსებით ბუნებრივი. საგანგაშო არაფერი იყო. ეს ვითარება მაშინ გახდა საგანგაშო, როცა შექმნილი სიტუაცია ოსტატურად გამოიყენეს მათ, ვისაც ეროვნული მოძრაობა სხვა და სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ხელს არ აძლევს. ახლა, ალბათ, უკვე დროა, გადავდოთ წვრილმანი საკითხები და ყველამ ერთად, თუ კი ჩვენ მართლაც გული შეგვტკივა ეროვნული საქმისათვის და არა ჩვენი საკუთარი პიროვნების უკეთ წარმოჩენის სურვილი გვიფრთხობს ძილს, თუ ჩვენი მიზანი არა მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ ცივილიზებული სახელმწიფოს შექმნაა, მივცეთ არსებულ სიტუაციას სათანადო პოლიტიკური და ზნეობრივი შეფასება. ტყვია უკვე გავარდა. ვინ უნდა შემოკრას განგაშის ზარი, თუ არა სახალხო ფრონტმა? ვშიშობ, რომ ჩვენ დავღუპავთ ეროვნულ მოძრაობას, მოვუკლავთ მას სულსა და გულს და დავრჩებით გაუგებარი მიზნებისა და ბუნდოვანი პერსპექტივის ანაბარა.

ბატონმა კობა იმედაშვილმა ყრილობის დღეებში ტელევიზიით მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა მოსაზრება, რომ 25 მარტის არჩევნების ჩაშლის მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთს სახალხო ფრონტის გამარჯვების შეეშინდათ. სწორი ვარაუდია. მაგრამ საკითხავი ის არის, ვის შეეშინდა და რისი შეეშინდა? აქ ორი ვარიანტია შესაძლებელი: პირობითად რომ ვთქვათ, ან ბნელ ძალებს შეეშინდათ პროგრესულის გამარჯვებისა და ან პირიქით. რომელი გაიმარჯვებდა? საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ერთიც მოსალოდნელი იყო და მეორეც და იმიტომაც იყო მოსალოდნელი, რომ სახალხო ფრონტი პოზიციურად ერთგვაროვანი მოვლენა არ არის და ამ შიშს რეალური საფუძველი ჰქონდა. და თუ სიტუაცია მკვეთრად არ შეიცვლება მომავალი არჩევნებისთვის, სად არის გარანტია, რომ სახალხო ფრონტის მიერ დასახელებული ყველა კანდიდატი დეპუტატობის ღირსი იქნება? ჩვენ გვახსოვს ისეთი კურიოზული შემთხვევა, როცა დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული იყვნენ პიროვნებები, რომლებიც 9 აპრილის შემდეგ, საკომენდანტო საათის რეჟიმის პირობებში შევიდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში. გვჭირდება თუ არა ჩვენ ასეთი დეპუტატები, თქვენ თვითონ განსაჯეთ! მე იმის თქმა მინდა, რომ როდესაც ლიტველები „საიუდისს" აძლევდნენ ხმას, მათ კარგად იცოდნენ, რა პოზიციას დაიჭერდა „საიუდისის" ესა თუ ის წევრი ამა თუ იმ სიტუაციაში, ამიტომაც გაიმარჯვა „საიუდისმა". და მთელმა ლიტვამ მასთან ერთად ჩვენ კი არ ვიცით, სახალხო ფრონტის ეგიდით დასახელებული ესა თუ ის დეპუტატი რას მოიმოქმედებს, თუ შემთხვევით პირადად არ ვიცნობთ მას. ძალიან ცოტა დრო დარჩა არჩევნებამდე. პარლამენტი კი ჩვენი უკანასკნელი შანსი და იმედია და ამ ბრძოლის წაგების უფლება ეროვნულ მოძრაობას არა აქვს. იმისათვის, რომ ჩვენ არხეინად მივცეთ ხმა სახალხო ფრონტს და გვქონდეს იმის გარანტია, რომ სახალხო ფრონტი და ეროვნული მოძრაობა იდენტური ცნებებია, სახალხო ფრონტმა უნდა დაიჭიროს ისეთი პოზიცია, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ ორაზროვნებასა და პოლიტიკურ თვალთმაქცობას. ყრილობაზე იყო კამათი — რა ვუწოდოთ სახალხო ფრონტს — ორგანიზაცია თუ მოძრაობა? რა სახელიც უნდა ვუწოდოთ, სახალხო ფრონტი პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციაა და თუ მას არ ექნება სათანადო მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ორიენტაცია, იგი სულ მალე დაკარგავს თავის დანიშნულებას.

საზოგადოებამ ალბათ იცის, თუ როგორი ცხარე კამათი გაიმართა ყრილობაზე იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა კომუნისტური პარტიის წევრს უფლება, ამავე დროს იყოს სახალხო ფრონტის წევრიც. თავი რომ დავანებოთ ყოველგვარ მორალურ-ეთიკურ ფაქტორებს, ვფიქრობ, ეს საკითხი საკამათოც არ უნდა გამხდარიყო იმ სრულიად ელემენტარული მიზეზის გამო, რომ წესდების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით სსფ-ს წევრობა ეკრძალებათ იმ პარტიის წევრებს, რომელსაც ცენტრი აქვს საქართველოს გარეთ და რომლის წევრთა უმეტესობა არაქართველია. ამის მიუხედავად, ყრილობას მაინც მოუხდა დადგენილების მიღება საკუთრივ კომპარტიის წევრთა მიმართ, რათა ისინი არ დარჩენილიყვნენ სახალხო ფრონტში. შემდეგი კენჭისყრით კი ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ კომუნისტური პარტიის წევრებს მიეცეთ ორი თვის ვადა თვითგამორკვევისათვის — ეს არ იყო შემთხვევითი, მოსალოდნელია, რომ ამ ვადაში საქართველოს კომუნისტური პარტია გამოეყოფა საბჭოთა კავშირის კომპარტიას და ეს შეცვლის ვითარებას. ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ, რა მოხდება ორ თვეში, მაგრამ ვფიქრობ, რომ საკითხი ცოტათი გამარტივებულია. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებსა და სახალხო ფრონტის უპარტიო წევრთა შორისაც არის პოზიციათა იდეური სხვაობა და საკმაოდ მკვეთრად გამოხატულიც. ამიტომ, ვიდრე არჩევნებამდე კიდევ არის დრო, მოდით, გავარკვიოთ ერთხელ და სამუდამოდ, ბარიკადების რომელ მხარეს არის სახალხო ფრონტი? რაკიღა ამ „რევოლუციური" ტერმინის ხმარება მომიხდა, ბარემ ამასაც ვიტყვი, რომ დიდ შეცდომად მიმაჩნია ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ ჩვენი ეროვნული მოძრაობის დაკავშირება რუსეთის ოქტომბრის რევოლუციასთან. ხშირად გაისმის სიტყვები — „ბოლშევიკური", „ნეობოლშევიკური", ბოლო დროს გაჩნდა — ყვარყვარიზმი და სხვა ამგვარი... ცხადია, ყველა ეს მეტად უსიამოვნო ცნება ოქტომბრის რევოლუციის ასოციაციას იწვევს და ისიცაა ცხადი, რომ ვერაფრით შევაშინებთ ჩვენს ტანჯულ ხალხს ისე, როგორც ამ ცნებათა რესტავრაციით. მაგრამ საკითხავია, რა აქვს საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართული იქნება იგი, ირლანდიური თუ ნამიბიური, რუსეთის ოქტომბრის რევოლუციასთან, რომლის მიზანი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ხელისუფლების შეცვლა იყო? ისტორია, როგორც მეცნიერება, ანსხვავებს ორ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას, როგორიცაა რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მათი ერთმანეთში აღრევა არა მხოლოდ შეცდომაა, არამედ კარგად გააზრებული, შორსგამიზნული ბოროტებაცაა. ეროვნული მოძრაობა თავისი არსით გამორიცხავს სამოქალაქო ომს, ნებისმიერ აგრესიას სოციალურ ფენათა შორის და სხვა ამგვარ ტრაგიკულ მომენტებს. გამორიცხავს, თუ კი მას ხელოვნურად არ შეუქმნიან საომარ მდგომარეობას საკუთარ სახლში შინაური და გარეშე მტრები. სახალხო ფრონტმა უნდა შეასრულოს თავისი უმთავრესი მისია — შეაფასოს და სახალხოდ ამხილოს ყველა ის მიზეზი, რომელიც დღეს საქართველოში უკიდურესად რთულ ვითარებას ქმნის და საგრძნობლად ამუხრუჭებს ეროვნულ მოძრაობას. კვლავაც ვუბრუნდები ზემოთქმულს — სახალხო ფრონტმა უნდა გამოხატოს თავისი მკაფიო პოზიცია საქართველოში არსებული მოვლენების მიმართ.

**მედეა თუშმალიშვილი,**
**რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სახალხო ფრონტის წევრი.**

სსფ-ს II ყრილობა

სსფ-ს II ყრილობა

# ყრილობაზე წარმოთქმული ნემო ბურჭულაძის სიტყვა

**ბატონებო,** ჩვენი დღევანდელი ყრილობის მოსამზადებლად შექმნილი იყო საორგანიზაციო კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით.

22 მაისს სახალხო ფრონტის კონფერენციაზე განიხილეს ამ კომისიის მიერ შემუშავებული წესდებაში შესატანი ცვლილებების ძირითადი საკითხები, გაფართოვდა კომისია და გაკეთდა განცხადება, რომ ნებისმიერ მსურველს შეეძლო შეეტანა წინადადებები, განეხილა ისინი კომისიასთან ერთად და, ამგვარად, მონაწილეობა მიეღო წესდების შექმნაში.

წესდებაში შესატანი დამატებებისა და ცვლილებების პროექტში, რომელიც თქვენ ხელთ გაქვთ, არის რამდენიმე პრინციპული განსხვავება კონფერენციაზე განხილულთან შედარებით. მე მინდა შევეხო ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, სსფ-ს წევრობის საკითხს.

კონფერენციაზე განიხილეს ასეთი მუხლი: „სსფ-ს წევრი არ შეიძლება იყოს ისეთი პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის წევრი, რომლის პროგრამა ეწინააღმდეგება ფრონტის პრინციპებს, რომლის უმეტესობას შეადგენენ არაქართველები და რომლის მართვა ხდება საქართველოს გარედან". რასაც ძნელია, არ დაეთანხმო.

ეს მუხლი რამდენიმე სხვადასხვა პარტიასა და ორგანიზაციას ეხება, მაგრამ მან მწვავე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია მხოლოდ სკკპ-ს წევრებში. მათ განაცხადეს, რომ ეს მუხლი მათი ფრონტიდან მოსაცილებლადაა დაწერილი.

ყრილობის მოსამზადებელ პერიოდში საორგანიზაციო კომისიის წევრები ვესწრებოდით რეგიონებისა და პირველადი ორგანიზაციების წინასაყრილობო კრებებს, რომელთა უმეტესობაზეც დგებოდა საკითხი, რომ არ სურთ სკკპ წევრებთან ერთად ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მოღვაწეობა. ხშირ შემთხვევაში კი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ თუ კომუნისტები დარჩებიან ფრონტში, ისინი იძულებული ქნებიან, დატოვონ მისი რიგები. ასე, რომ ეს წინადადება ქვემოდანაა ნაკარნახევი და არაა კომისიის ინიციატივა. ამის დადასტურება იყო კონფერენციაზე მომხსენებელთა გამოსვლები და დარბაზის რეაქცია.

ჩემი აზრითაც ეს მუხლი სხვებთან ერთად ეხებათ, უფრო სწორად კი ზუსტად მიესადაგებათ კომუნისტებს. მათ პროგრამაში სწერია, რომ „პარტია ებრძვის ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას". მხოლოდ ეს ერთი ფრაზაც კი საკმარისია ჩემთვის.

როგორც ქართველს, სკკპ-ს მთავარ დანაშაულად მიმაჩნია 1921 წელს მის მიერ საქართველოს დაპყრობა. დიახ, ჩემი სამშობლო დაიპყრო არა რუსეთმა, არამედ კომუნისტურმა პარტიამ (სამწუხაროდ, ამ აქტში ქართველ კომუნისტებს ლომის წილი უდევთ). კომპარტიამ მანამდე დაამარცხა სხვა, მერე რუსეთი.

ესაა დანაშაულებრივი პარტია, რომელმაც ძალადობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, კლასებად დაჰყო ერი და ერთმანეთს მიუსია, წაართვა ადამიანებს რელიგია — იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი მცნებაა „არა კაც ჰკლა", აბა როგორ გაემართლებინათ მილიონობით ადამიანის გაჟლეტა. ანდა მცნება „არა იცრუო", როდესაც მათი ბელადი ამბობდა — „სიმართლის თქმა ბურჟუაზიული ცრუ-რწმენააო". გააუქმეს კერძო საკუთრება, რადგან უამისოდ არ არსებობს თავისუფალი ადამიანი. ქვეყანა მიიყვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ზნეობრივ კრიზისამდე, უფრო სწორად, კატასტროფამდე.

„პარტია ჩვენი მესაჭეა" — სამოცდაათი წელი აყვირეს დაბრიყვებული თუ დაშინებული ხალხი. იგი მართლა იყო მესაჭე, რომელმაც ძალადობით ჩაიგდო ხელში ხომალდის საჭე, მგზავრების ნაწილი ზღვაში ჩაახრჩო, დანარჩენები ტრიუმში ჩაკეტა და ისე გავიდა სანაოსნოდ ისტორიის უკიდეგანო ოკეანეში, რომ კომპასიც არ წაუღია. რომ წაეღო კიდეც, რა აზრი ჰქონდა, კომპასის არც ცნობა იცოდა, არც ხმარება.

ესაა ქამელეონთა პარტია, რომლის წითელი ფერი ამ ბოლო დროს ყოველ რესპუბლიკაში მათ გაბატონებამდე არსებული დროშის შეფერილობას იღებს და რომელიც (ჰოი, საკვირველებავ), აქვეყნებს ეროვნული განვითარების კონცეფციას.

იგი აღიარებს თავის დანაშაულებრიობას, უზნეობას, ქვეყნის მართვის უუნარობას და მაინც არ აპირებს ძალაუფლების დათმობას.

ასეთი პარტია ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში კანონგარეშედ გამოცხადდებოდა.

რაც შეეხება კომუნისტთა განცხადებას, რომ თითქოს ჩვენ გვინდა სახალხო ფრონტიდან მათი, უხეშად რომ ვთქვათ, გაგდება, არა, ბატონებო, არა. ჩვენი სურვილია უღმერთოთა პარტიიდან თქვენი გამოსვლა. ისე კი, თვითონ უნდა გაარკვიოთ, სად უნდა იყოთ: ეროვნულ მოძრაობაში თუ დამპყრობელ პარტიაში.

ამბობთ, რომ პარტიიდან გასვლა დღეს არაა გმირობა. გეთანხმებით, დღეს ეს აღარაა გმირობა. ეს ზნეობაა.

აცხადებთ, რომ თავს გასწირავთ სამშობლოსათვის. ჯერჯერობით პარტბილეთი ვერ გაგიწირიათ.

ამბობთ, რომ ფორმალურად ხართ პარტიაში. ნუთუ გავიწყდებათ, რომ ამ ფორმალურ წევრთა მხრებზე დგას იგი და თუ თქვენ დატოვებთ პარტიას, უბრალოდ შეწყვეტთ მის არსებობას.

თუ გსურთ, მონაწილეობა მიიღოთ ფრონტის მუშაობაში, წესდების პროექტი ამასაც ითვალისწინებს: „დარგობრივ კომისიას უფლება აქვს, თავის საქმიანობაში ჩართოს ის პირებიც, რომლებიც სსფ-ს წევრები არ არიან". ასე, რომ ყოველნაირად შეგიძლიათ თქვენი ნიჭი, ენერგია, პროფესიონალიზმი მოახმაროთ ეროვნულ საქმეებს ფრონტის შემადგენლობამიც. რატომ გსურთ მაინც და მაინც მოწმობა ფრონტის წევრობისა. მე პირადად ფრონტის შექმნიდან დღემდე არ ამიღია იგი და არც დამჭირვებია.

წესდების ცვლილებათა პროექტის დღეს განსახილველ ვარიანტში თქვენთვის საოცრად დამამცირებელი პირობაა გათვალისწინებული: ხელი უნდა მოაწეროთ დეკლარაციას, რომ არ ცნობთ იმ პარტიის პროგრამას, რომლის წევრებიც ბრძანდებით. ამ პირობის კომენტარი ჩემთვის, უბრალოდ, უხერხულია.

საინტერესო ციფრი მოიყვანა გუშინ ბატონმა გურამ ყორანაშვილმა — საქართველოში 400 ათასი ბიუროკრატიაო. ნუთუ შემთხვევით ემთხვევა ეს ციფრი საქართველოს კომუნისტთა რაოდენობას? ამ ციფრის ნაწილის შეჭმული ხომ არაა თუნდაც მხოლოდ ხულოს რაიონის დაზარალებულთათვის გამოყოფილი ორ მილიონზე მეტი მანეთი, რომელზეც გუშინ იყო აქ ლაპარაკი?

გვიმტკიცებენ, თითქოს კომუნისტთა გასვლა ფრონტიდან საქართველოს აკარგვინებს 400 ათას კაცს და ყოფს მას ორ დაპირისპირებულ ბანაკად. იცით, რატომ ფიქრობენ ასე? იმიტომ, რომ ბოლშევიკების ერთ-ერთი ლოზუნგია: „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია". თორემ, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის — ვინც ფრონტში არაა, ყველა საქართველოს მტერიაო. იყავით, ბატონებო, თქვენს პარტიაში. აკეთეთ კეთილი, ეროვნული საქმეები. საქართველოს კომპარტიის შექმნის ნაცვლად (პარადოქსია, სხვა ქვეყანაში აუქმებენ, სსრკ-ში კი არც ერთ რესპუბლიკას არ ჰყოლია და ახლა ქმნიან) შეუცვალეთ მას პროგრამა, სახელი, როგორც ბრძანა გუშინ ბატონმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა. ეს ფაქტიურად იქნება თვითლიკვიდაცია პარტიისა, რაც მართლაც შეიძლება, გმირობად ჩაგეთვალოთ.

ბატონმა შოთა ნადირაშვილმა განაცხადა — რა მნიშვნელობა აქვსო ჩემს მიერ პარტიის დატოვებას? აქვს, ბატონო შოთა, აქვს, მაგალითის ძალა აქვს. კომპარტიამ ხომ უამრავი პატიოსანი, განათლებული, საქმიანი ადამიანი წაართვა საქართველოს, მოტყუებით, დაშინებით, დაპირებით, მატერიალური სიკეთის მიცემითა თუ წართმევით და მათი სახელით გვებრძვის დღესაც, როდესაც აცხადებს: მთელი ინტელექტუალური პოტენციალი ჩვენთანააო თავმოყრილი. ავიწყდება კი, რას ეძახდა მისი ბელადი ინტელიგენციას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონებს: თამაზ გამყრელიძეს, თენგიზ კიკაჩეიშვილს და სხვებს ასეთი მაგალითის მიცემისათვის.

და რაც მთავარია, ახლოვდება კომუნისტური იმპერიის ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომლის შედეგებზეც დიდადაა დამოკიდებული ერის მომავალი. საქართველოში მოქმედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები, მათ შორის სახალხო ფრონტი, აპირებს მონაწილეობა მიიღოს მასში და მოიგოს იგი. როგორ ფიქრობთ, ვის უნდა მოუგოს მან ეს არჩევნები? არსებობს ერთადერთი დაპირისპირებული ძალა და ესაა კომპარტია. ასე, რომ გვეყო, ბატონებო, თავის მოტყუება, გვეყო!

გისურვებთ, არა მარტო სახალხო ფრონტი, საქართველო გეხილოთ მალე უპარტიოდ.

# არიადნეს ძაფის ძიებაში

**ამ წერილის ავტორს დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიების პრეტენზიები არ გააჩნია. ჩვენი მიზანი იყო დარეჯან გრძელიშვილის შეურაცხყოფისა და მხეცური მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული იმ დეტალების გაანალიზება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ ერთი შეხედვით, თითქოს იდუმალებით მოცულ საუკუნის დანაშაულს. წერილში ნახსენებ ზოგიერთ მოქალაქეს (გამოძიების პროცესში მონაწილე თანამდებობის პირებსაც) თუკი რაიმე პრეტენზია გაუჩნდებათ ავტორისადმი, მზად ვარ, ყველა შენიშვნა (რასაკვირველია, დასაბუთებული) მივიღო (ავტორი).**



**1980 წლის** 30 იანვარს ქ. რუსთავში, ბალანჩივაძის ქუჩაზე, დილის 8 საათსა და 20 წუთზე მე-9 საშუალო სკოლის სპორტდარბაზის კედელთან შეამჩნიეს მწოლარე ახალგაზრდა გოგონა უგონო მდგომარეობაში.

დადგინდა ვინაობა: დარეჯან უშანგის ასული გრძელიშვილი. ქ. რუსთავში საბჭოს ქუჩის მცხოვრები. მუშაობდა რუსთავის სტამბაში.

არ არის დადგენილი დანაშაულის დრო და ადგილი. იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

იმავე დღეს დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

დარეჯან უშანგის ასული გრძელიშვილი, დაბადებული 1959 წელს (მცხოვრები ქ. რუსთავში, საბჭოს ქუჩის №28-13), მუშაობდა ქ. რუსთავის ტიპოგრაფიის ფილიალში კორექტორად და ემზადებოდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. ამ მიზნით დარეჯან გრძელიშვილი ყოველ დღე, საღამოს საათებში მიდიოდა ქ. რუსთავში, ბალანჩივაძის ქ. №10-19-ში მცხოვრებ თავის თანამშრომელთან, ლია ოთარის ასულ წიქარიშვილთან და მასთან ერთად მეცადინეობდა. 1980 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 18 საათსა და 10 წუთზე, გრძელიშვილი სამეცადინოდ მივიდა წიქარიშვილთან, მათ ცოტა ხანს იმეცადინეს და დაახლოებით 19 საათზე დ. გრძელიშვილი წამოვიდა სახლში, წამოსვლის წინ კი წიქარიშვილს შეუთანხმდა, რომ მეორე დღეს, 30 იანვარს, მივიდოდა 07 საათისათვის, შეთანხმდნენ ემეცადინათ სამსახურში წასვლამდე. დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე დ. გრძელიშვილი სახლში მივიდა და განუცხადა მშობლებს, რომ მეორე დღეს 07 საათისათვის უნდა მისულიყო ლია წიქარიშვილთან სამეცადინოდ.

1980 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 6 საათსა და 45 წუთზე, დ. გრძელიშვილი ადგა, ჩაიცვა და დაახლოებით 07 საათზე სახლიდან გავიდა, რათა ლია წიქარიშვილთან მისულიყო.

იმავე დღეს, 1980 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 08 საათზე, ქ. რუსთავში, ბალანჩივაძის ქუჩაზე, მე-9 საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის კედლის მახლობლად, ლ. წიქარიშვილის საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით, სხეულის მძიმე დაზიანებითა და გაუპატიურების ნიშნებით, უგრძნობ მდგომარეობაში აღმოაჩინეს დარეჯან უშანგის ასული გრძელიშვილი, რომელიც მოათავსეს რუსთავის საქალაქო საავადმყოფოში, ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, სადაც იმავე დღეს, 16 საათსა და 25 წუთზე გარდაიცვალა.

მკვლელობა ისეთი ამაზრზენი და საშინელი იყო, რომ მრავალ დამცირებასა და გაჭირვებას შეჩვეული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშები გაიფიცნენ და რუსთავის სტადიონზე შეიკრიბნენ. სიტუაცია უმართავი გახდა და თვით ცკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე იძულებული შეიქნა, რუსთავში პირადად ჩასულიყო აბოროქრებული რუსთავის მშრომელების დასამშვიდებლად. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა სტალინის შემდგომი ტირანია ზეობის ზენიტში იყო და სულ ადვილად შეიძლებოდა საზარელი მკვლელობით აღშფოთებულ რუსთაველ მუშებს 1956 წელს თბილისის ქუჩაში გამოსული ახალგაზრდების ბედი გაეზიარებინათ. თუ როგორ ჩაიარა ცკ-ს მაშინდელი პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის დაპირებამ, ქვემოთ დავრწმუნდებით.

### სამედიცინო დასკვნა

**(ტ. 1. ხ. ფ. 89).** 1. თავის ქალის სარქველისა და ქალის ფუძის და ქვედაყბის ძვლების მოტეხილობა. სისხლნაჟღენთი მარცხენა თვალის არეში.

მიეკუთვნება მძიმე, სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას.

2. იდაყვის სახსრის წინა ზედაპირზე ორი ნაჩხვლეტი ჭრილობა და ბარძაყის გარეთა ზედაპირზე ნაჩხვლეტი ჭრილობა.

3. საშოდან აღებულ ნაცხში აღმოჩნდა მრავლობითი სპერმატოზოიდები, რაც მიგვანიშნებს, რომ გაუპატიურებულია ჯგუფის მიერ.

4. საქალწულო აპკის მთლიანობა დარღვეულია. ხანდაზმულობა შეეფარდება განცხადებულ თარიღს.

5. კიდურების ძვლების მოტეხილობა, ნაკლებად მძიმე დაზიანება.

6. დანარჩენი დაზიანებები მრავლობითია — მსუბუქი.

7. უკანა ტანში სისხლნაჟღენთები განვითარებულია ბლაგვი საგნის მოქმედებით შესაძლებელია, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დროს.

ალკოჰოლის სუნი არ აღმოაჩნდა.

**ამონაწერი მოწმე ნანული რაჟდენის ასულ წურწუმიას დაკითხვის ოქმიდან (ტ.2 ხ. ფ. 167).**

1980 წლის 30 იანვარს მოხდა საზარელი მკვლელობა. 31 იანვარს დილით, საავადმყოფოში მისვლის დროს, სადაც უნდა გაეკვეთათ დარეჯანი, მოვედით. ექსპერტმა ჯონი ალავიძემ თვითონ არ გაჭრა. მოიყვანეს თბილისიდან ექსპერტი, როცა დამთავრდა საექსპერტო ანალიზების აღება, თბილისელი ექსპერტი წავიდა, გამოვიდა ჯონი ალავიძე და ორჯერ ითხოვა, ვალიდოლი მომეცით, ასეთი საზარელი მკვლელობის შემთხვევა ჯერ არ მქონია, ეს გამოცდილი რეციდივისტების გაკეთებულია, როგორ უწამებიათ საწყალი გოგო, არ შემიძლია სამკვდროში (მორგში გ. თ.) შესვლა, იმის უმანკო ტანის შეხედვა, ისე განვიცდი...

**ამონაწერი დარეჯან გრძელიშვილის პირადი საქმიდან (ტ. 6. ხ. ფ. 101):**

**საგამოცდო თავისუფალი თემა**

**ფიქრები მომავალზე**

„როგორღაც ამ წუთში ბავშვობა მახსენდება... ვიჯექი მერხზე და მომავალი მეგონა ძალიან შორს, მასზე ვერც ვფიქრობდი და ვერც ვგრძნობდი, რა მალე გადის. დრო, შეუმჩნევლად გადის და დგება შენს ცხოვრებაში წუთი, როცა პასუხი უნდა აგო შენი თავის წინაშე, ყველას წინაშე. ადამიანი ფიქრისათვისაა გაჩენილი, მშვენიერი, ლამაზი ოცნების გარდა ადამიანმა უნდა შექმნას, უნდა გაუძლოს, ადამიანს უნდა სწამდეს, უნდა უყვარდეს, აი, როგორ მესმის ადამიანის დანიშნულება და გამართლება ცხოვრებაში. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს — როგორი იქნება ჩემი მომავალი, შევძლებ ვიყო ღირსეული მოქალაქე ჩემი ერისა?..“

### ეჭვმიტანილი პირები

ქ. რუსთავის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის რ. ლიპარტიას 1980 წლის 14 თებერვლის დადგენილებით დარეჯან უშანგის ასულ გრძელიშვილის მკვლელობისა და გაუპატიურების ფაქტის გამო დაინიშნა ბიოლოგიური ექსპერტიზა, ეჭვმიტანილები: გ-ი იასონის ძე გოგ-შვილი, ვა-ნგ ერასტოს ძე გოგ-შვილი, ნ-ი კალენიკეს ძე თა-რი, ალ-რე დომენტის ძე გო-ძე, მ-ი ვასილის ძე ნ-ძე გააგზავნეს ექსპერტიზაზე სისხლისა და ნერწყვის შემადგენლობის შესამოწმებლად.

დარეჯან გრელიშვილის საშოდან აღებულ ნაცხში აღმოჩენილ იქნა სპერმა. ასევე სპერმა იქნა აღმოჩენილი დარეჯან გრძელიშვილის ტანსაცმელზე. აღებული იქნა ეჭვმიტანილი პირების ნერწყვისა და სისხლის ნიმუშები.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, დათარიღებული 1980 წლის 14 თებერვლით, ასკვნის — სპერმა დარეჯან გრძელიშვილის საშოდან ამოღებულ ნაცხში შეიძლება წარმოქმნილი იყოს A და O ჯგუფობრივი თვისობრიობის გამომყოფი პიროვნებების მიერ, როგორებიც არიან თარი, ვ. გოგ-შვილი, გ. გოგ-შვილი, გო-შიძე. იმავე თარიღით დ. გრძელიშვილის ნ. თა-რის, მ. ნ-ძის, ა. გო-იძეს, გ. გოგ-შვილისა და ვ. გოგშვილის სისხლის ნიმუშები გაიგზავნა მოსკოვში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე. იმავე წლის 7 თებერვალს დარეჯან გრძელიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირებს ჩაუტარდათ ექსპერტიზა სხეულის დაზიანებების ხარისხისა და ხასიათის გამოკვლევის მიზნით.

**(ტ. 1. ხ. ფ. 81) თა-რი ნ-ი კალენიკეს ძე:**

7. 02. 1980. ამჟამად თავზე და სხეულზე ფიზიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღინიშნება.

**(ტ. I. ხ. ფ. 85). გოგ-შვილი გ-ი იასონის ძე:**

11. 02. 1980. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით შეეფარდება ოც დღეზე მეტს.

**(ტ. I. ხ. ფ. 83). გოგ-შვილი ვა-ნგი ერასტოს ძე:**

7. 02. 1980. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. ხანდაზმულობით შეეფარდება 10-12 დღეს და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.

საინტერესოა, რატომ არ ჩათვალა გამოძიებამ საჭიროდ ეჭვმიტანილების გო-იძის, ნო-ძის, ამ-ისა და ორდ-იძის გაყვანა სხეულის დაზიანებებისა და ხარისხის გამოკვლევის მიზნით ექსპერტიზაზე? ასევე ექსპერტიზა საერთოდ არ ჩაუტარდა ეჭვმიტანილ წი-შვილს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებიდან ეჭვმიტანილთა შესახებ გამოძიებამ მიიღო ცნობები: **ეჭვმიტანილი ა-რე ნესტორის ძე გო-იძე,** დაბადებული 1926 წელს, მახარაძის რაიონის სასამართლოს მიერ 1946 წელს მსჯავრდადებულია სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის „ე“ პუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1955 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულების 4 მუხლით თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, 1963 წელს აჭარის უმაღლესი სასამართლოს მიერ მსჯავრი დაედო ს. ს. კ. 104 მუხლის II ნაწილით და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**ეჭვმიტანილი გ-ი იასონის ძე გოგ-შვილი,** თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1968 წელს გასამართლებულია 228 მუხლის II ნაწილით. 1970 წელს წალენჯიხის რაიონის სასამართლომ მსჯავრი დასდო ბრძანებულების მე-2 მუხლით, 1973 წელს თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო 228 მუხლის II ნაწილით, მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**(ტ. 2. ხ. ფ. 79).** საინფორმაციო ცენტრის ცნობით ნ-ი კალენიკეს ძე თა-რს ნასამართლობა არ აქვს.

საყურადღებოა, რომ ძირითადი საქმიდან 1981 წლის 9 ივნისის თარიღით გამოყოფილ საქმეში საინფორმაციო ბიუროს ცნობით **(ხ. ფ. 48)** ცნობილი ხდება, რომ ნ-ი კალენიკეს ძე თ-რი მსჯავრდადებულია დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ და 228 მუხლის II ნაწილით და 207 მუხლის I ნაწილით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მუ-დი ვასილის ძე ნა-ძე მსჯავრდადებულია ხაშურის სასამართლოს მიერ 1975 წელს 17-134 მუხლით. 1977 წელს დაპატიმრებულია ხაშურის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის II ნაწილით.

საქმეში არ არის ცნობა ორდ-ძეზე, ამი-ძეზე, წივ-შვილზე, ბუ-შვილზე.

1980 წლის 12 დეკემბერს საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შემოწმებული და შედარებული იქნა მორფოლოგიურად დარეჯან გრძელიშვილის სამოსზე ნანახი თმები თა-რის თმებთან.

ექსპერტის დასკვნით დარეჯან გრძელიშვილის კაბის ქვედა ბოლოზე აღმოჩენილი თმები ალბათობის უფრო მეტი თვისობრივი მონაცემებით ეკუთვნის თა-რს, ხოლო ტრუსიდან აღებული თმა არ ეკუთვნის არც თა-რს და არც გო-შიძეს. ე. ი. აქედან ჩანს, რომ გაუპატიურებაში ფიგურირებენ კიდევ სხვა პირები, რომლებიც გამოძიების მიერ არ არიან ეჭვმიტანილად ცნობილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზა, დათარიღებული 1980 წლის თებერვლით, ასკვნის, რომ სპერმა დარეჯან გრძელიშვილის საშოდან ამოღებულ ნაცხში შეიძლება წარმოქმნილი იყოს A და O ჯგუფობრივი თვისობრიობის გამომყოფი პიროვნებების მიერ, როგორებიც არიან თა-რი, ვ. გოგ-შვილი, გ. გოგ-შვილი, გო-შიძე.

მოქმედი კანონმდებლობა დარეჯან გრძელიშვილის საშოში აღმოჩენილი ანტიგენების და აგლუტინოგენების კუთვნილების დადგენის შესახებ კატეგორიული დასკვნის უფლებას არ გვაძლევს, მაგრამ სავარაუდო დასკვნას მაინც იძლევა, თუ რომელი ჯგუფობრივი თვისებრიობის გამომყოფს შეიძლება ეკუთვნოდეს სპერმა. რადგან გამოძიებას კატეგორიული დასკვნის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ მას ეს დასკვნა გამოადგებოდა მხოლოდ და მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

გამოიყენა კი გამოძიებამ ეს დასკვნა?! არა! გამოძიებისათვის განა არაფერს ნიშნავდა ის, რომ თმებისა და სპერმის კუთვნილების ალბათობა ეჭვმიტანილ თა-რის მხარეს იყო გადახრილი?!

### ვის ეკუთვნის საპატიმროდან გამოგზავნილი წერილები

**(წერილების სტილი მკაცრად არის დაცული — რედ.)**

**მ-ი ტ-ის წერილი**

გამარჯობათ შვილებო

როგორ მენატრებით, რომ იცოდეთ როგორ მენატრებით ეს რა მიქნა იმ ჩათლახმა ერთი თუ ცოცხალი გამოვედი რას ვუზავ შვილო ნ-ი ვწერ ამ წერილს და არ ვიცი როგორ გამოვგზავნო მივიღებ თუ არა ვფიქრობ და ლამის გავგიჟდე ნ-ი ძალიან ფრთხილად იყავით შვილებო თქვენ იყავით კარგად და მე როგორმე შევინარჩუნებ ძალის სულს და მალე გამოვალ. ამბობენ დიდი ამნისტია იქნებაო ჩავინერგე თავში რომ ვითომ ფეხი მომტყდა ვწევარ საავადმყოფოში აბა რა ვქნა ინსტიტუტში იარე ნ-ი ნ-საც უთხარი გაფრთხილდეს მე რომ გწერდი რომ აქ ზის... არის აქ სულ სხვანაირად იციან ამბავი ყველა თავისებურად ყვება ამბავს ვითომ დეიდა ზრდიდა დაჭიას რუსეთში არავინ იცის რომ დაჭის მამას ბევრი შვილები ყავდა მისმა მამიდამ ჩამოიყვანა რუსთავში გასაზრდელად დაიწყო ის დღე რა დღესაც ნინო ჩამოეთრა რუსთავში და მოახდინა მოსახდენიც გეუბნებოდით შვილო შეეშვით თ-ის მაგრამ ახლა რაღა ეშველება ნ-ი შვილო მე როგორმე დიბიხანთან აქ ერთი ქალია ძალიან ბლატაობს და იცნობს ამ კონტროლიორ ძაღლებს ვთხოვ რომ მომეშვან ესეც ასე ყვებოდა რაღაცას ვითომ მონაყოლს მგონი ძალიან კარგი ქალია რა უნდა გამიკეთოს გამიგონია შპიონები, უნდა... წერილი ლაპარაკის დროს ჭერში არ ჩაიგდებს [illegible] გიჟი ვგონივარ და ყურსაც არ მიგდებს როგორც მინდა ისე ვატანცავებ, მთელი დღე ვჭამს ვაძახებინებ ნ-ი ყველაფერს შეეშვით ეხლა უთხარი თითასაც ცოტა ხანს დიბიხანს აქ ყოფნა ძალიან მაგიჟებს მაგრამ იმ პირებიდან სულ სხვებმა სინანს თქვენ არ ჩანხართ აქ ასეა არის რომ ვითომ დიბიხანმა გამოიყვანა დაჭრა და შეაბედრა ნ-რის რ-ზის ვაკლი და შ-რის თქვენი და ნინოს სახელი კაცეშვილს არ უხსენებია მარტო ნინოს უნდა როგორმე ნახვა ან იქნება ფოთის ციხეში ან სოხუმში ყავთ არამც და არამც არ ახსენოს მანქანა ყვითელის მაგიერ იციან წითელი მოკლედ ყველა თავისებურად ლაპარაკობს ჩემთვის ვზივარ და ვეროთბი წერით ამ ჩემს ქვევით რომ წევს არ ეძინება და ვეცადები ამით მოდის ხშირად კოფას დასალევად გადის და დრო მაშინ მრჩება წერის არ მინდა მიხვდეს რომ ვწერ ვეუბნევი ყველას რომ ერთ სიტყვას არ დავწერ ახლა მინდა რომ ერთი წერილი მაინც მივწერო დიბიხანს აი ასეთი რას მირჩევთ, მომწერე მინდა რომ რახან იმათ ადებს ხელს ისევ ისე დარჩეს შვილო ნ-ი მართლა დედაჩემს უთხარი რომ ფული თუ კითხონ მისი სამარხი იყო და მანქანისში ბინა გაყიდა ერთი შვილი მყავდა წრიდიანი ვიყავი და იმის სახელზე შევიტანე აბა ვის სახელზე შევიტანე ან ვის სახელზე შემეტანა შვილო დაჭიას სურათები არ ვიცი რომელ ალბომშია შენც და თ-მ მონახეთ და დამვეთ მარტო რომ არის ტყეში თუ ხეებში გადაღებული იმისი ცალი აქვს მას მამიდას იმ სურათს საპოლიციაში დაიჭერენ ძალიან მიშინია მეტი რომ არ იყოს ვაი რომ ყველაფერი ერთად გასკდეს შენზე ვიტყვი რომ მოსკოვში და ლვოვში ვიყავით ვითომ შენთვის მინდოდა წამლები თუ შეეკითხებიან უთხარი რომ სათესლე ჯირკვლები გქონდა ვაიმანებული ატროფირებული გაიგე არაფერზე დაიბნე გენაცვალოს დედა როგორ ცეცხლში ჩავცვივდით თქვენ არაფერი მოგივიდეთ მე არაფერი მიშირს თავი დავილიე და სულ არ ვჩივი აქ გინდა ტრუსიკიანი ვიყლი მოკლედ ვაგიჟებ ახლა დიბიხანს ჩვენებს ვითომ პიაოტულებმა მოკლეს დიბიხანი სადღაც ის არსინს რომ თქვენ წაიყვანეთ საცხოვრებლად სულ სხვის აბრალებენ ახლა კი ვწერ მაგრამ ვის გამოვატანო გ-ის წერილი შემომივიდა უნახია სამართლოში ნინოს გამომძიებელი და მწერს ახლა კარგად დაიმახსოვრეთ და უთხარით ნუ-რის და თ-საც იქნება ამ წერილთან ერთად გამოუგზავნო ეს გ-ის წერილიც ყოველ წუთს ვიგრინებ აღამდრობას რომ იქნება ის ექიმი კაცი ამივიდეს ვინც წერილი მომიტანა მაგრამ სულ სხვა პირბოტ-ებმა მოყავთ მიგდით ყური გამომძიებელი ასე მოყოლილა მარტო სამტრედიაში ის ქალი ბარდელმაა იმისი სული მოვ-ყან ის მოყოლია სახელები არ ვიცით მარტო სახელები ვიცით მე ვსწავლობდი სამტრედიაში ტექნიკუმში სადაც ბინა მქონდა ნაქირავები იქ ხშირად მაკითხავდა ჩემი საქმრო ერთხელ ჩემი საქმრო მოსკოვში წავიდა გამაფრთხილა რომ ფეხი არსად გამედგა ხომ იცი იქ მოსკოვში ვინ წავიდა... იქვე ცხოვრობდა ქალი მეზობლად რომელიც ბარდოლობდა ლუბა თუ რაღაც რუსი ქალიშვილი რუსთავში ყუსო მოვიდა და მითხრა რომ წამოდი ჩემთან და ვითომ ნინო წასულა და იმ ქალს მიაკითხეს კაცებმა რესპუბლიკის მძღოლებმა და ჩემი თავი წარუდგინეს იმალდნენ და ფული მისცეს ლუბასო. ამ ბარდელმამ ფული არ მომცა და მე შევედ კრაოტის ქვეშ და წამოვედით სულ იმ სამტრედიიდან ეს კაცები მე არ ვიცით მოკლედ თქვენ არ ხართ ნახსენები მე რომ დაჭიას სიკვდილი ენახე ნინო ასე მიყვებოდა ის ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა ნაცნობმა ბიჭებმა ფული ისესხეს ჩემგან ვ-ათასი მანეთით წამომყევი რა იქნებაო ლანჩხუთში ვნახოთ იქ რომ ჩავედით სადგურზე სასადილოში იყვნენ და გამომიძახეს და ეპაპარაკო იმათ უთხრეს დაგვიცადეთ მაგრამ მიაძახა ლუბამ იმ ტყუსთან ქალი რომ მოკალითო თუ არ მომიტანთ ფულს წავალო და მილიციაში დაგასმენთო „ბიჭებმა“ დაუყვირესო და წამოიყვანეს თავიანთ მანქანით სამტრედიაში რომ ჩამოვედით მეც შემოყოლეს სახლში წინ ჩვენ შევედით უკან ბიჭებით ერთ-ერთი შევიწრებული ბიჭი იყოვო მაგან ხომ არ იცოდა რომ მე დედა ვიყავი ცოტა ქარი კრიდაო და ფანჯარაზე რაღა-

(გაგრძელება მე-4-ე გვ.)

# არიადნეს ძა

(გაგრძელება)

ცვევში იდოვო და ისინი გადმოცვივდოდ. მე რომ დავიხარე ასაღებათ ამ დროს თავში მძიმე რაღაც ჩაარტყეს და დააბორიალესო იქვე ჩამიჭირეს ბაწარით და მომცეს ხელშიო რომ გამეჭირა ყელშიო მეც გავუჭირე და მომკვდარი შედეს საწოლის ქვეშ და ასე მითხრეს რასაც პირველად გ-ი მწერს ჰკუა დაარიგეს ბიჭებმა ნელა-ნელა ვიდგენ ყველაფერს და მინდა ყველაფერი გავიხსენო მაინც ჩემთვის იქნებ რაიმე მოხდეს და ახლა მე დამჭირდეს ძალიან გავს დაჯიას სიკვდილი სამტრედიის სიკვდილს თუ ერთად აგვეოხდა სული სუყველას და მამაშენის გულისა მომივიდა აი მაშინ იქნება ოინი ძალიან გულით მინდა დობიხანა რას ლაპარაკობს და როგორ ჩვენებებს აძლევენ ამ ქალმა არ იცის ზუსტად არც ყვება სხვის საქმეს ერთი ზის კიდევ რუსთავიდან მოლარე რომ იყო და რა ვიცი ძალიან ვშიშობ მინდა ჩამოვაყალიბო დაჯიას სიკვდილი და შენ რას მირჩევ მაგრამ იმ ექიმს ველარ ვნახულობ რომ გამოვატანო არც გვარი ვიცი არც სახელი მაგრამ მინდა ჩემთვის ჩამოვაყალიბო სინამდვილე შევადარო დიბიხანას ჩვენებებს ალბათ სახელები არის და პიროვნება სხვები როგორც სჩანს ფულმა და ნუ-იმ დასძლია ოქრომ დიბიხანა მოკლედ ჩამოვაყალიბებ ჩემსასაც და დიბიხანასასაც და იქნება ისევ იმ ქალმა გამოგზავნოს შევეხვეწები ჩემს ხელს ხომ იცნობთ მომწერეთ პასუხი მაგრამ... მე ძალიან მეშინია იმისა რომ ეგ ორივე მკვლელობა ერთმანეთს გავს ისიც და ესეც მთავარი ეგ არის იმიტომ რომ იმასაც თავის არეში აქვს უკნიდან დარტყმული და პროფილიდან და დაჯიასაც აღარ შემიძლია ლამის გავგიჟდე თანაც რას გწერ აღარ ვიცი რომ მახსენდება მინდა ყველაფერს შევეხო თანაც იმის შიში მაქვს რომ ნინო თუ გარეთ არის სადმე ასუხარება უნდა თქვენ უნდა ეცადოთ როგორმე მომენტი დასდევთ მანქანაზე და ჩადით სადაც ციხეებია დასავლეთში და იქით არ არის ეცოდინებათ გრუპებს როგორმე ან მისი გვარი დამავიწყდა გამომძიებელი რომ იყო იქნება მომწერო შვილო ნაზე თითაც მოკლეს დასავლეთში ან ჩორნი საქმეს და ნინოს საქმეს მაგის და ქალი იყო და დაჯიასი კარგი ნაცნობი გახდა მისი ჩამოსვლის დრო და საათი თუ ეხლა ვინმემ უჟიგო დაჯიას სიკვდილი ჩვენ უბედურება არ აგვცდება აქ ოციან რომ ექვსი კაცი იყო ნაცნობები თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს 4-6 მე-3 წელია იმალება თითომ სხვა საქ-ნავი არ იშოვიდა მე იმას ვშიშობ რომ იმის არა სთქვას რომ სამტრედიაში ყოფნის დროს რომ ჩემი საქმრო მოსკოვში წავიდათ მერე რაღას იზავ ბილეთი თუ შეამოწმეს თუ რაიმე მაშინ ნინომ უნდა სთქვას რომ ჩვენ საერთოდ არ ვეცნობს მე კი თავი ისე მიჭირია რომ ვითომ ხანდახან აზრზეც არა ვარ რომ ვინმე მეკითხება პასუხს არ ვაძლევ. ჭერჭერობით კარგი როლი მაქვს გათამაშებული. ნ-ი შვილო ახლა გიწერ ამბავს იმ დასაწვავ 30 იანვრის ამბავს თქვენ რომ წამოეწიეთ დაჯიას მანქანით ჩვენი მანქანა იყო თუ თითასი თუ ჩვენი იყო ნინომ არ უნდა ახსენოს ყველაზე ნაღდი მისი ასუხარებაა ისევ იმ ადგილას რათ გინდოდათ შვილო აი ბოლოს რა იქნება რა ცხოვრება ექნებოდა იმის შავყვითელა მამიდას რომ დაჯიას სცოდნებოდა თუმცა ფული კი ჰქონდა არც ათქმევინეთ იმ ბავშვს და ისიც გააუბედურეთ და ახლა ვზივარ და ვფიქრობ რომ გასკდეს საქმე ვიცი რომ გასკდება გული... ნინოს იმიტომ ენდო რომ სოფლიდან იცნობდნენ ერთმანეთს რომ ჩასვით დაჯია მანქანაში და უკან მოიყვანიათ ბალანჩივაძეზე იმ ტერიტორიაზე აღარ უნდა გაგეტარებინათ ან თავში შენ არ უნდა ჩაგერტყა დაბრედილთან. მკვდარი ან სულ არ უნდა მოგეკლათ ან რა ვიცი იქიდან აღარ უნდა მიგეთრიათ დაბრედილი ვაგონში და შენ შეუთანხმდი თითას ნუგ-რსაც იმას ვშიშობ კიდევ რომ ნახალოვკაში ზურმუხტთან ნუ-რის ელოდებოდა ჟიგული ეგ საქმე არ გასკდეს უთხარით ნუ-რის ცოლეურებს რომ ოქრო ძალიან ბევრი გამოატანეს ქალიშვილს და როგორმე ისეთებს დაადოს ხელი რომელიც ძვირფასია აღარც მახსოვს თარლიყები სად შევინახე შვილო ნუ-რი და ნ-ი სამუშაოზე თავი არ დაანებოთ აქ ისე ვამბობ რომ ძალზე გვიჭირს და ახლა ნუ-რი პროფილაქტიკაში მუშაობს და იქნება ფედაჩებს მეთქი პურის ფული დააბმაროს თქვა თანაც რძალიც მოსარჩენი მყავს საქმე და რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს რომ თქვენ [illegible]ში მომიხვდებით ამიტომ თითამ ნინო უნდა ნახოს და როგორმე დიბიხანს დაუკავშირდეთ წუხელის დიბიხანი მოვიდა კარცკაცთან ვითომ არ ვიცნობ თავი ისე დავიჭირე ჯერ მითხრა როგორ გახდიო, მერე მითხრა რომ ვნახე ახლა რომ ვიყავი რუსთავში ეტაპში ნ-იც და თითაც მაგრამ მე არაფერი ვითომ ის ვიცი რომ ნუ-იმ და ბიჭებმა მოკლესო თანაც ისე მცემესო მკლავს ველარ ვხმარობ ხომ ისიც გავიგე რომ რკინა არ ჰქონდა ალბათ გააქრეს ვაი შვილებო თუ დავიღუპეთ შენ რას გაუძლებ მოგიკვდეს დედა იმდენ წვალებას რასაც ნუ-ი გვიყვებოდა ნუ-რის ხომ თავი გადამძვრალი აქვს თქვენ როგორმე დაუკავშირდით ნინას თუ მოხდა მოსაძებნი მე თავს ისე დავიჭერ რომ ვითომ სულ არსად მინახია ნინო, რაღაც ილონეთ თანაც 4 ბინის ბროლი და ოქრო და ის რაღაცეები არ წამოცდეს ნინოს გეუბნებოდით შვილო რომ მაგ დროს არ უნდა გაგეკეთებინათ იმიტომ რომ მაინც დედამისთან შენ იყავი, თანაც ნინო ვინიცობაა ქურდობებშიც გამოტყდა უნდა ითქვას რომ მე რომ მამაშენს გავცილდი ძალიან ბევრი ხრუსტალი გვქონდა და თქვენ რომ ვერ გხვდებოდით ნელ-ნელა კომისიონში ვაბარებდი არაფერში დაიბნეთ და დაგას... სადმე ვითომ მილიციას ამ ჩათლახებს პირველად ხედავთ მე ვიცი გული მიგრძნობს რომ ამინისტია შემეხება პრო-საც ვერ შემიჭამენ წაიღონ ჩემი მძღ-ერი ამ თვითონ ჩათლახებმა და თქვენ მარტო ნინო გააფრთხილეთ კიდე მიეცით ფული და არც დიბიხანი არ დაგავიწყდეთ შეუწყეთ ხელი ველარ ვაზროვნებ დაჯის ამბავი უფრო ადრე მოხდა თუ ლუბასი მგონი დაჯის ამბავი იყო ან ხო რომ იმ ბანდერაშას უყვებოდით დაჯიას ამბავს ახლა შვილო აბა კარგად მარა დაწვით პასუხი მოკლედ წერე შენ ან ხო ან არა ნინო ხომ პირველად ჩამოათრია ის ტორჩელი მაგიდის ვინმემ არ ამოიცნოს თავისად როგორმე ვთქვათ რომ ერთი ხმა გვქონდეს შვილო გენაცვალოს დედა ძალიან ფრთხილად იყავით თითაც გაფრთხილდეს სახლიდან და იმ პადვალიდან თუ რაიმე დარჩა გაიტანოს ჩუკები რაც დარჩა გადასახდელები მოკლეთ თ-ის არ შეეშლება არაფერი რა ვიცი გიჟი მარინა მარინააო იმასაც ხომ ცნობა აქვს 3-4 წელი მიმაგრება მოუციათ აქ მჯდარა ერთი წლის წინ არც ახლა იმლის ხომ იცი შენ როგორ ვაჭრობს ისევე თუ გიჟი იყო როგორ მუშაობდა მაღაზიის გამგედ ალბათ მეც წამიყვანენ ახლა ფსიხიატრთან ან ხომ გამომიძახებენ ეტაპზე ერთ ისტერიკას ავტეხავ არ დაიღლებიან და თავს არ დამანებებენ ერთი ამათი სისხლი დამალევრევინა სამშაბათს ოთხშაბათს გამოგიგზავნი წერილს თუ ის ექიმი ვერ ვნახე, მაშინ კონვერტს ჩავდებ და ცელოფანით ამოვწვავ თუ მიიღე ერთი პაროლით ე. ი. არ გახსნილა როგორც ქართველი ქალი ძალიან კარგია და რასაც ვავალებ მისრულებს ტრ-საც მოიტ-აქვს რაღაც მგონი გამოყ-ვებულია თუ ვინიცობაა გახსნილია ყავს ძალიან კარგი გოგო ლამაზი სწავლობს 118 სკოლაში ნინო ჭიჭინაძე და თქვენ იცით გაუერთიანეთ ცხვირის ნესტოები და ცხვირი. მაგრამ არა მგონია გახსნას შვილებს მოუფრთხილდება მანქანით იარეთ და ჩააყენეთ ყველაფრის საქმის კურსში. დიბიხანა ასე ამბობს მე რომ მოვდიოდი დილით ნუ-სთანო ის უკვე დაგდებული იყოო წავადექიო და მანქანამ გაიარაო წითელმაო, სინამდვილეში ხომ იცი როგორიც იყო და რა ფერიც ბიჭები რკინიგზას სჭრიდნენო კანეშნა შეიცნო რ-ო შენ და თითა ვერ შეგიცნოთ ერთიც მანქანაში „მძღოლი" მართლაც ასე იყო მაგრამ დიბიხანა ამბობს რომ იყო ექვსნიო ოთხს ვიცნობო ორს ვერაო შენ და თითა გრიცხავთ როგორც ვერ შეგიცნოთ ვ-კო და შ-ო ტყუილად ყავს ალბათ მოყვანილი ისინი სად იყვნენ. ეგ ხომ ნუ-მაც მოყვა რომ მე სასწრაფოდ ფატომა რომ მობრუნდა საავადმყოფოდანო ვნახე და ვაგონი დავალაგებინეო და გავაფრთხილეო რომ წუხელის ჩემთან იყავიო არ უნდა გაკარებოდით ვაგონს თანაც უკვე 6 საათზე ხალხი აშლილი იყო, მაგრამ ახლა გვიანაა ეხვეწეთ წმინდა გიორგის რომ საქმე არ გასკდეს მთავარი მაინც ერთია ნინოს ასუხარება როცა დედამისმა ვილაცა ჩამოიყვანა რუსთავში თითასთან მაშინ რაღაც უნდა გექნათ აბა ახლა ჩაგვივარდება ხელში თუ არა რა იქნება ან მილიციისათვის არ უნდა ჩაგებარებინათ ვინ იცის იმ ყ-ის თესლმა რა არ სთქვას და რას იტყვის მოკლედ ხმა რომ ხმაა და ცნობა მე არ მიცნობს თქვენ რომ დარეჯანი ჩაისვით ნინოსთვის არ უნდა დაგეჯერებინათ რომ ის ქალიშვილი არ იყო სკოლაში ძალიან კარგი ბავშვი იყო რა იცოდა მაგ პრიაყყომ ქალიშვილი იყო თუ არა თანაც დაჯომ რა იცოდა მამიდამისს ფული ექნებოდა თუ არა ამზადებდა მოსაწყობად.

ახლა თუ თქვენ როგორმე ნინოს ნახავთ უთხარით, რომ არამც და არამც და არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოს ის ამბავი კიდევ ვიმეორებ ყველაფერ საქმეს მიხედეთ ისე როგორც საჭიროა ჩასვი მანქანაში ბებიაშენი და ნახეთ გოგი ხელები ნუ დაგაცრუეფიათ გულზე ქალი გაგიეებას ვარ ახლა რაიც პერედაჩის შემოგზავნით გაახვიეთ ცელოფანში წერილი და კარაქში ან საპონში როგორმე ჩადეთ და ისე შემოგზავნეთ მე აქ ყველანაირად ვეცდები მთელი ოხრები შემოყარეს ყველაფერს მოვახერხებ ახლა ვიცი რომ როგორმე სული შევინარჩუნო და იმ ჩათლახს გაუსწორდე იქნება როგორმე ვნახო ის ექიმი და ნინოსი გამოვატანო რა უნდა სთქვას ლამეები არა მძინავს ისე ვარ ჭოტივით ნაქცევი არც მაქვს დრო რომ ჩემს ქვეშ რომ წევს ვთხოვო რაიმე ისეთი ჩათლახის ერთია რომ ალბათ თვითონ შემოიყვანა იქნება გამოტეხონო და ჩემი თავი რას დამტყუნავენ ტრ-ი არ მომკამონ აბა შევეცდები თუ მარტო ჩავიგდე ხელში ეს გამო-ბული მირჩევს რაიმეს არ ვიცი როგორ ვქნა დღე და ღამე ვფიქრობ მგონი ყველაფერს მოვახერხებ მიდი იმ ნაბიჭვარ ჩემ გამომძიებელთან და წამოყვანის ეტაპში იქნება იქ მაინც გნახოთ მორიგეების საშუალებით ვინც ჩამომიყვანა ვილისით ხომ იცით იქნება მოვახერხო წერილის მიცემა პაპიროსს მოვთხოვ და იქნება იმაში როგორმე ჩაიდოს თქვენი წერილი მგონი ველარაფერს ვახერხებ მინდოდა რომ ნინოს ჩვენება მომეწერა თუ ვინიცობაა დიბიხანამ ან რომელიმემ გახსენათ ხომ იცით რა მოხდება რაღას უჩივი იმას რისთვისაც დამიჭირეს ის სულ აღარ მადარდებს ნეტა სულ სახლიც წაეღოთ თქვენ არ დამეღუპოთ შვილებო ეს როგორ ჩავვარდი რომ გამოვალ ერთ სროკს კიდევ ავიკიდებ და იმ ჩათლახს მოვკლავ მოკლედ აბა ჩემო ნ-რ როგორმე მომითხოვოს იმ პოდარასტმა ჩემმა გამომძიებელმა და წამიყვანოს ეტაპში ველარ ვახერხებ ვერაფერს რა ვქნა ან როგორ მოვიქცე მომწეროს თვითონ ნანეიშვილმა როგორ რეაგირებას მოახდენს ჩემს წერილზე იქნება შვილო უთხარით გოგის თუ შეუძლია თვითონ შემოვიდეს ვითომ დასაკითხად აქ ეგ ადვილად შემოვა თქვენ ვიცი ალბათ ისევე იმ საქმეებს, აგრძელებთ მოიცით ცოტახანს ახლა კორმის საქმესაც არ გასკდეს ამდენ ხანს გამომძიებელი რომ არ მოდის ალბათ კიდევ ემეხს და ჩიჩქნის საქმეებს მაგისი ღორი დედა მო-ყან. არაფერი არ მადარდებს თქვენ გიფრთხილდებით ახლა ნუ-საც რომ მოედავონ იმ პროფილაქტიკის ყიდვას ყველაფერს ვფიქრობ და ვგიჟდები აქ კი გონიათ რომ გიჟი ვარ ამათი გიჟი დედა მოყან ყველა მე როგორ შემხვდა ცენტრი შვილო ნინოს ამბავი გავიგე და არ შეცვალოს ჩვენება ისევ იმათ რომ ის ბანდერში იყო და მაგას აქირავებდა და მაგას ფულს არ აძლევდა რაც აქვს ნათქვამი იქნება არ უჯერებენ ის ზღაროვი იყო და ეგ ბავშვი და როგორ მოკლა უთხრას რომ ფანჯარაზე საყვავილე იდგა და ის ესროლე და რომ დავარდა მაშინ ბაწარი წაუჭირე ყელში ზურგიდან რომ თვალებში ჩემი ლანდი არ დარჩენოდათქო არაფრით ჩვენება არ შეცვალოთ სურათზე როგორც გწერთ ისე მოიქეცით სკოლას არა აქვს მნიშვნელობა მოკლედ წადით ღამე ნინოსკენ დღე იტრიალეთ რუსთავში ხალხს ეჭვი არ აალებინოთ ახლა ნათლიამშენიც რომ გაიჭედოს შენი მოწყობის ამბავიც რომ გასკდეს მანდ უთხარი შენი ნათლიის შვილს ინსტიტუტში ხომ ხედავ რომ ვითომ არ იცნობთ თქვენ მაგ კაცს და შენი წვალებით მოეწყე სდევდი კორმის მანქანებს.

ნ-ი, შვილო

რატომ არაფერი შემატყობინე ხომ იცი რომ დაგიწერე ხელი შევცვალე ძაღლები არიან მაინც ამათი ნდობა არ იქნება მით უმეტეს ეგ ჩათლახი გამომძიებელი დამემუქრა 7 წელს მოვაცემინებო კარგია რომ ბაბოლ-ა დეიდას დაუკავშირდა შენ ინსტიტუტში რატომ არ იყავი უთქვიათ რომ სამი ოთხი დღე არ იქნებაო ფრთხილად იყავი რა ქნა ნ-ლი დეიდამ წავიდა თუ აქ არის ნ-ი რას შვრებით აუცილებლად შემატყობინეთ ქ-ა თუ ჩამოვიდა თუ რაიმე გაიგო ადვოკატს მე დავარეკინე სახში არ ვიცი სინამდვილეში დაურეკეს თუ არა უგაც გაიგე და აუცილებლად მომწერე რა ხდება ჩემს თავს ბაბომ სთქვას რომ ვარდისფერთვლიანი ჩუპედი და იქიდან რაც წაიღეს ვითომ რძლებისთვის და შვილიშვილებისთვის ჰქონდა ძალიან ვცდილობ რომ რესპუბლიკურში მოვხვდე მაგრამ არაფერი გამომდის აქ თუ მოვხვდი საშუალება მექნება თქვენი ნახვის ნ-რი და დ-ო როგორ არიან დანარჩენები როგორ ხართ ძალიან მენატრებით სულ ცუდ სიზმრებში ვარ საქმე როგორ წავა არ ვიცი აქ მაინც გამოცდილია როგორ არ მიყვავარ მაგ ჩათლახს ერთ სროკს თუ ცოცხალი დავრჩი მაგისთვის შევინახავ დ-ო ყოფილა იმ ჩათლახთან და დამუქრებია რომ მოგკლავო ერთი რომ დამაპირისპირეს უნდა უთხრა შე მილიციის ბოზო ჯერ მე თავს მოვიმტერებ არ მივცემ ჩვენებებს თუ ჩამომიყვანეს მანც აქ სულ ვაგიჟებ თუ ვინიცობაა წერილებს მიჩვენებენ ვეტყვი ეგ ჩემი ნაწერი არ არის მეთქი თუ ახწევს წერილები შენამდე დაწვა იმ ჩათლახებს არ შერცხვებათ ყველას არ ენდოთ კარგი გიქნია რომ მაინც ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხეთ ნ-ი ზ-ას თუ დაუკავშირდით შეატყობინოს აქ თბილისში და ის თავის იმას შეატყობინებს იქნება მიხვიდე ნუ აწვალებ მომწერე ვეცდები რომ ნორმალურად დაგიწერო ახლა მარტო არ მოვა ეს გოგო ძმას ან ბიძაშვილს ვავიყოლებო დიდი ხვეწნით და მუდარით ვაგზავნი შვილო ძალიან ფრთხილად იყავით ნურარაფერს კითხავთ ეს გოგონა თვითონ მოგაკითხავთ ხომე მაგრამ მე მეტი აღარ დამჭირდება ერთხელ მოგწერ ერთ წერილს საქმიანს შენი წერილი რომ მომივა სულ დამიწერე რა ქენით შვილო თუ საავადმყოფოში მოვხვდი იქიდან საშუალება მექნება ნ-რი **აქ ერთი ზის ძალიან დიდი ხმბავი მიდის როგორ მეშინია ამ ერთმა არაფერი ხთქვას თქვენზე და თქვენ ხაქმიანობაზე ან იმდენი ფული ეხლა ხაიდან გქონდა ჯიბიდან პაჩკახავით ამოიღოო ძალიან გაფრთხილდით ყველაფერი ეხლა არ გასკდეს და თქვენ არ ჩამიცვივდეთ ძალიან მეშინია. აუცილებლად პასუხი წერილები არ გაჩერო დაწვი თუ რაიმე მე ყველაფერზე ატკაზს ვიტყვი მე არ დამიწერია მეთქი. მ-ი**

ნ-ი შვილო

მიდი მამაშენთან და უთხარი რომ ოქროს ძეწკვი აჩუქა ქორწილში ბეჰედი სამი ათასი ფული ზ-ნ მიდი სტომატოლოგიურში და თუ კითხონ ჩემს მიმართ რაიმე არ მიცნობს თქვენ არ დაიბნეთ იყავით ფრთხილად ქვეყნის თვალი გახვევიათ ხომ იცით დედაჩემს უთხარი რომ დროზე წამიყვანოს გამომძიებელმა იქნება გნახოთ ჯერ მე ხელს არაფერს დავადებ ვისი რა არის მერე შემოგითვლი და ასე იტყვით რა ქენით ლვოვში თუ დარეკეთ ან ტუაფსეში ტელეფონის ნომრები მგონი წაღებული აქვთ იქნება დააწროთ უთხარი ბაგაჟი დაიჭიროს დეიდამ და გაიტანოთ სახლიდან ნუ შეშინდებით მე იქამდე არ ამოვიღებ ხმას სანამ არ შემოგითვლით თუ ის სამკაულები ვინ ამოიცნო არ შემოგითვლით მაგრამ მეც აღარ მახსოვს რა წაიღეს იქნება ერთი ჩხრეკის ოქმი როგორმე შემოგზავნო ფულზე სთქვი რომ შენ ლატარია ითამაშე ან 37 ობლიგაციებმა მოიგეს 25 წლის ხარ მგონი მთლად უსუსური არა ხარ აბა შენ იცი როგორმე პასუხი მაცნობეთ შეცვლილი ხელით არაფერი გამომდის საავადმყოფოსთვის სასწრაფოდ მაცნობეთ ქ-ა ფრთხილად იყვეს ვითომ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს არ თქვას რომ ძალიან ახლოს ვართ აბა თქვენ იცით ფრთხილად იყავით პასუხი მომწერე რომ თ...

დამპალი თოკი გავაბათ... მუშაობს და ვთხოვე რაიმე ამბავი მოეტანა სიტყვიერად მაგრამ აღარ მოსულა თქვენ ძალიან გაფრთხილდით მე აქ არაფერს არ ვიტყვი კარგი გიქნიათ რომ შენდა მ-ი მოსულხართ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა იქნება როგორმე გამოვცვალო გამომძიებელი კითხეთ გ-ის ჩამოდით უთხარი ბაბოს ჩაისვით მანქანაში და წამოიყვანე ფულს ხელზე ნუ მისცემ კონვერტში ჩადე წერილი და ფული და მე მოვცემ მითხრა 25 მანეთი მომცაო და უკან მივეციო ეგეც დამიწერე თუ იყო ახლა შევამოწმებ თუ სინამდვილეს მელაპარაკება ბევრი ფული ჰქონდაო შაბათისთვის დამიბარაო მაგრამ არ წავედიო თუ არ მენდობიანო რატომ ვიაროვო გიჟი ხომ არა ვარო კონსტიტუციის №-ში ვნახეო დედაშენი იყო მა-იო ჯოხით მერე ზევით დაუძახა ლა-სო იმან მ-ის და ნ-რი მოიყვანაო პატივი მცაო ტაქსით გამომიშვაო მოკლედ რა ვიცი ყველაფერი მითხრა მისახვედრი ნ-ი პერედაჩში ვამლი არ მინდა ყველი პური კარაქი და პესოკი ღვიძლი მაწუხებს იქნება დედამ გამიგზავნოს წამალი და გამოატანოთ ფული კონვერტში ჩადე აქ ლარიოკია შენი წერილი რომ მომივა მაშინ დაწვრილებით მოგწერთ ჩემი ხელით გამართულს მთელი ღამე ვწვალობ წერილისთვის ყველაფერზე იყავი ფრთხილად კითხე ხოლმე თ-ის ის ნახოთ და მე არ ვახსენებ არ იდარდოს მე აქ გიჟი ვგონივარ [illegible] მიდი და დაწვრილებით მომწეროს როგორ მოვიქცე გელოდები [illegible] რემ გავგიჟდები...

**ამონაწერი თამარ ჩ-ლის დაკითხვის ოქმიდან (ტ. 6. ს. ფ. 32)**

„აღნიშნული ბარათი მე გადასაწერად მიტანილი მაქვს ქუ-სთან, ამ უკანასკნელთან მიტანილ ბარათს კიდევ ორი დედანი ჰქონდა. ტუ-ლის მიერ დაწერილი ბარათი იწერებოდა ჩვენს საკანში. ტუ-ლის ბარათი გადაწერა ზოზ-ვამ, ხოლო მისი გადაწერილი ბარათი მე შევუტანე გადასაწერად ქუ-ძეს. ზოზ-ვა ტუ-ლის ბარათის დედნიდან ახდენდა გადაწერას ისე, რომ რაც ამ ბარათში სწერია სიმართლეა მომიტანეთ დედნები და მე მოგახსენებთ ყველაფერ სიმართლეს მანამდე კი არაფერს არ მოგახსენებთ... თუ ვისი დავალებით მოხდა, რომ მე ქუ-ძეს გადასაწერად შევუტანე ტუ-ლის ბარათის ასლი, რომელიც ზოზ-ვამ გადაწერა მე არ მახსოვს, მაგრამ ერთი კი რამ იცოდეთ თუ ბარათში მოყვანილი ფაქტებს საქმეში ჩახედული კაცი არ დაწერდა მე ამას ვერ მოვიგონებდი".

**ამონაწერი მოწმე ნინო ჭ-ძის დაკითხვის ოქმიდან (ტ. 5. ს. ფ. 34).**

თაკო ჩ-ული გაგვეცნო მე და ჩემს საკანში მყოფ პატიმარ ტათ-შვილს, როგორც მილიციის კაპიტანი, ყოფილი თანამშრომელი...

ორი სამი დღის შემდეგ ეს იყო, შაბათ დილით აპრავკის დროს თაკო მოვიდა ჩვენს კარმუშკასთან შეწუხებული, მათ საკანში წინა ღამეს დებოში იყო. პატიმარ ტ-შვილის მიერ. თაკომ აგვიხსნა, რომ ძალიან შეწუხებულია, ჩვენც უთანაგრძნეთ. მან სთქვა: „დედიკო მაგ ქალს სხვა რაღაც აწუხებს, ძალზე სერიოზული საკითხია, უნდა ბარათი გამაგზავნინოს ოჯახში, მე ვალდებული ვარ გადავწერო და ხელმძღვანელობას ჩავაბარო, რაც ჩემს საკანში შეუძლებელია, თქვენ მილიციის თანამშრომლები იყავით და უნდა, როგორმე მომეხმაროთ", მან შემოიტანა 3 (სამი) ფურცელი უჯრიანი რვეულის ფურცლებზე მწვანე პასტით ნაწერი, მართლაც საშინელება იყო, თაკო ჩქარობდა და ახალ-ახალი ფურცელი მოქონდა, რათა ტ-შვილს არ გაეგო, თან ეტირებოდა „ასეთ ბოროტებას როგორ სჩადის ხალხიო" მე ვკითხე შეიძლება თუ არა რაიმეს გამოტოვება მან კი მიპასუხა: „წერტილიც კი არ გამოტოვო" წერილში იყო ბევრი ქურდობის ფაქტი, მკვლელობის ფაქტები, იყო უამრავი მუქარა. იყო ნახსენები ოქროულის მაღაზიის გაქურდვის ფაქტი, რუსთავში გოგონას ემუქრებოდნენ სიკვდილით და სხვა მრავალი...

**რუსთავის პროკურატურის განმარტება**

1982 წლის 4 მაისს საქართველოს სსრ შ. ს. სამინისტროდან შემოვიდა ქ. თბილისის №2 საგამოძიებო იზოლატორში ამოღებული წერილები, რომლებიც უნდა გაგზავნილიყო ქ. რუსთავში მცხოვრების ნ-რი ტუ-შვილის მისამართზე.

დადგენილი იქნა, რომ იმ საკანში, სადაც ამოღებული იქნა წერილები, იმყოფებოდა ნ. ტუ-შვილის დედა მ. ი. ტუ-შვილი. იგი დაპატიმრებულია სპეკულაციისათვის საქ. სსრ სსკ. 165 მუხლის II ნაწილით.

წერილებში მითითებულია საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი რამდენიმე დანაშაულზე, მათ შორის, დ. გრძელიშვილის მკვლელობაზე.

მოწმის სახით დაკითხვისას მ. ტუ-შვილმა უარყო წერილის დაწერის ფაქტი.

საქმეზე დანიშნულია და ტარდება გრაფიკული ექსპერტიზა წერილების ავტორის დადგენის მიზნით (ტ. 5. ს. ფ. 148).

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ მ-რი ტ-შვილი დღეს ერთ-ერთი ცრუ-აქმია („ექსტრასენსია") ქ. თბილისში. მისი „ჯადოსნური ხელების" მადლის შესახებ პრესითაც ინფორმირებულია ჩვენი საზოგადოება.

მ-რი ტ-შვილის ათასი ფიქრის ამძვრელ წერილთან დაკავშირებით გამოძიებას ევალებოდა არა მარტო გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება, არამედ წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმებაც, რაც მან არ გააკეთა. თუ გააკეთა, საქმეში არაფერია ამის შესახებ აღნიშნული. წერილებში მოყვანილი ფაქტების შემოწმებას შეგნებულად ხომ არ აუარა გამოძიებამ გვერდი ვინმეს ინტერესების სასარგებლოდ?!

# ...ის ძიებაში

**ამონაწერი დარეჯან გრძელიშვილის ალმურადელეგისა და პედაგოგების გამოხათხოვარი წერილიდან. (ტ. 6. ს. ფ. 100.):**

„დღეს ცასაც წარბი შეუკრავს და ნაღვლიანად დაგვცქერის, სატირლად ემზადება, იქნებ მანაც იგრძნო დედამიწაზე დატრიალებული ეს ტრაგედია იქნებ იგრძნო, როგორ ჭაითელა ფეხქვეშ ერთი წმინდა, სპეტაკი გოგონას ღირსება! იგრძნო და სახეზე ღრუბელი აიფარა, რათა ნათელი თვალებით არ შეეხედა იმ უწმინდური არსებისათვის, რომელმაც შებღალა ქართველი მამაკაცის ღირსება. მერე და რატომ, რისთვის? ნუთუ იმიტომ, რომ ქვეყნად ფრთხილი ნაბიჯებით დადიოდი, არავინ შევაწუხოო. მორიდებულ სალამს იძლეოდი, ირგვლივ სითბოსა და სიწმინდეს თესავდი, ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ემზადებოდი, გწამდა, გჯეროდა ადამიანებისა, რადგან შენში არ იყო ბოროტების არც ერთი მისხალი და როგორ წარმოიდგენდი, რომ ვინმე გიღალატებდა, შენს მიმართ ბოროტებას გამოამჟღავნებდა...

...ამიერიდან ჩვენს გვერდით აღარ იქნები და ვერ გაიზიარებ ჩვენს დარდსა და მხიარულებას, რომელიც ყოველთვის სათუთად მიგქონდა გულთან. შენ დაგკარგეთ და შენთან ერთად მამაკაცის ნდობაც. შენთან ერთად დავასამარეთ მისი სახელი და ვაი, რომ დიდი დრო დაგვჭირდება ამ ნდობის დაბრუნებისათვის.

სირცხვილი შენ, უღირსებო კაცო, ფეხქვეშ რომ გათელე ქართველი ქალის ღირსება და ლაჩრულად მიიმალე ბუნაგში.

მშვიდობით, საყვარელო დარეჯან, გვწამს, რომ პატიოსანი ადამიანები აღმოაჩენენ შენს მკვლელს და პასუხს აგებინებენ“...

დამეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, რომ შეუძლებელია გული არ მოგიკლას ამ წერილის წაკითხვამ!

საქმეში მოიპოვება მასალა იმის შესახებ, რომ გამოძიებას ჰქონდა საკმარისი საფუძველი იმ პირების გარდა, ვინც ცნო ეჭვმიტანილად და ვის მიმართაც ჩაატარა რიგი საგამოძიებლო მოქმედებანი, აგრეთვე, ეჭვმიტანილად ეცნო სხვებიც, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ეხებოდა მაღალი თანამდებობის პირების ოჯახის წევრებს, ისინი არ იქნენ ეჭვმიტანილად ცნობილი და ამდენად, კანონით დადგენილი წესით არ შემოწმდა მათი დანაშაულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი. თუმცა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გამოძიებას კატეგორიულად ევალებოდა, თანამდებობისათვის კი არ გაეწია ანგარიში, არამედ ემოქმედა მხოლოდ საქმის გახსნის ინტერესებიდან გამომდინარე.

საქმეში მოიპოვება ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები. გამოძიება კი მოვალე იყო კანონით დადგენილი წესით ჩაეტარებინა საგამომძიებლო მოქმედებები ამ წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად და გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. ეს არ არის გაკეთებული. ლოგიკურად იბადება კითხვა, რატომ? არ იყო გამოძიება საქმის გახსნით დაინტერესებული, თუ მოერიდა ვინმეს, რატომ მოერიდა? იქნებ ვერ მიხვდა, რისი გაკეთება იყო საჭირო?! ნებისმიერ შემთხვევაში გამოძიება დამნაშავეა გარდაცვალებულის და საზოგადოების წინაშე.

ასე მაგალითად, მოწმე №-მა გამოძიებას მისცა ჩვენება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოწმე გამოიძახა თავის სამუშაო კაბინეტში (ქალაქკომში) და შესთავაზა ბინა, რასაც ესწრებოდა საქმის შედეგით არცთუ მთლად დაუინტერესებელი ერთ-ერთი მოქალაქე:

გამომძიებელი ვალდებული იყო, დაეკითხა ის საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოწმე ამ საკითხის გასარკვევად, რაც არ გააკეთა: თუ დაჰკითხა და საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანმა მოწმემ უარყო მოწმე №-ის ჩვენება, მაშინ გამოძიებამ რატომ არ დააპირისპირა შემდომში ისინი?! ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიებას უნდა დაეკითხა თვითონ ის მაღალი თანამდებობის პირიც.

იმ ორი მაღალი თანამდებობის პირის ოჯახის წევრების ბრალეულობის საკითხს გამოძიება არ ამოწმებს სრულიად და ყოველმხრივ, კმაყოფილდება მათი ზერელე არაკრიტიკული დაკითხვებით. ვიზუალურ სამედიცინო შემოწმებასაც არ აკადრებს მათ, რომ სასაღარაფერო ვთქვათ მათ მიმართ სასამართლო-სამედიცინო თუ ბიოლოგიური გამოკვლევების ჩატარებაზე. თუმცა ამის საფუძველი არსებობს. ეს მაშინ, როცა ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთზე ელვისებურად გავრცელდა ხმები, რომ მას სასქესო ორგანო დაზიანებული ჰქონდა და მოსკოვში გადააფრინეს სამკურნალოდ, ხოლო მეორემ თავის ჩვენებაში აღნიშნა, გავიგე, ქალაქში დადიოდა ხმები, თითქოს ეს დანაშაული მე ჩავიდინე, მაგრამ არ მივაქციე ყურადღებაო.

სამწუხაროდ, არავინ დაინტერესდა, რატომ არ მიაქცია ყურადღება ან მართლა არ მიაქცია ყურადღება?! განა არაფერს ნიშნავდა მისთვის საზოგადოებრივი აზრი, თუ...

მოქმედი კანონმდებლობის და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად საქმის გახსნისათვის შემუშავებული ოპერატიული ღონისძიებების გეგმა და აგენტურული მონაცემები საქმის წარმოების არ უნდა ერთვოდეს. წინამდებარე საქმეში ასეთი მასალა საკმაოდაა წარმოდგენილი. რატომ, საქმის უცოდინარობის, დაუდევრობის თუ ვინმესათვის თვალის ახვევის მიზნით?!

ერთი მათგანია № აგენტის მიერ შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი შეტყობინება იმის შესახებ, რომ მან დაინახა სტაფილოსფერი ჟიგული, რომელშიც იჯდა 5 პიროვნება. სამმა მათგანმა მანქანის საბარგულიდან ამოიღეს უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი გოგონა, მიაგდეს კედელთან და წავიდნენ. 5-10 დღის შემდეგ მასთან ბინაზე მივიდნენ, ჰკითხეს, ხომ არ დაუკითხავთ იგი მილიციაში ანდა პროკურატურაში? შესთავაზეს ორი შეკვრა 25 მანეთიანები. მან ფული არ აიღო, რის შემდეგ დაემუქრნენ, თუ სადმე იტყოდა რამეს, ოჯახის წევრებს ამოუწყვეტდნენ.

აგენტმა N-მა აღწერა თითოეული მათგანი. და დაასახელა ერთ-ერთის მეტსახელი, მეორის კი გვარი და სახელი.

ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებით დადგენილი იქნა ორი მათგანის ვინაობა, მაგრამ...

კანონის მოთხოვნით საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება უნდა შემოწმდეს ყოველმხრივ და სრულყოფილად. ეს ელემენტარული ნორმაა და ამის შეხსენება საჩოთიროო უნდა იყოს ნებისმიერი გამომძიებლისათვის...

აგენტი N არად აგდებს დანაშაულთან რაღაც შემხებლობის პირების მუქარას და გამოძიებას აძლევს საჭირო დიდი რისკის ფასად. მიუხედავად იმისა, რომ აგენტის მიერ დასახელებული პიროვნებები შემოწმებით დადასტურდა, გამოძიებამ ბოლომდე ვერ გამოიყენა (თუ არ გამოიყენა?!) საქმის გახსნისათვის ეს ჩინებული შანსი და ზერელე, ბუნდოვანი დაკითხვებით შემოიფარგლა.

რით უნდა აიხსნას ეს, არაკომპეტენტურობით, გულგრილობით თუ შეგნებულად გვერდის ავლით ვინმეს ინტერესების სასარგებლოდ?!

საქმეში კი რა გვაქვს? დარეჯან გრძელიშვილი უგრძნობ მდგომარეობაში იპოვეს 1980 წლის 30 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით გამოძიება ვალდებული იყო გვამის აღმოჩენის ადგილას მცხოვრები მოქალაქეები დაეკითხა გვამის აღმოჩენისთანავე პირველ დღეებში, რაც არ გააკეთა. რუსთავის პროკურატურამ ამ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ 1981 წლის ივნისში, და, სული ცოდვილო, გვამის აღმოჩენის ადგილას მცხოვრები მოქალაქეების დაკითხვას მოანდომა 6 თვე, არც მეტი და არც ნაკლები!

დ. გრძელიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილები ა. გ-შიძე, გ. გოგ-შვილი, ვ. გოგ-შვილი, მ. წო-ძე რუსთავიდან სხვადასხვა რაიონებში გადავიდნენ. მათ დასაკითხად და დასაპირისპირებლად რუსთავში ჩამოყვანას ასევე 6 თვე დასჭირდა.

დ. გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის დღესვე რუსთავის პროკურატურისათვის ცნობილი გახდა, რომ დ. გრძელიშვილი წინა დღით, 29 იანვარს, იმყოფებოდა მოქ. წიქ-შვილის ბინაში და ასევე მეორე დღეს დილით უნდა მისულიყო მასთან. საქმის გახსნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიება ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გაეჩხრიკა მოქ. წიქ-შვილის ბინა, რაც არ გააკეთა, სამწუხაროდ, გამოძიებამ ამ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება მხოლოდ 1981 წლის 4 მარტს ჩათვალა საჭიროდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის საქმის გამოძიება აყვანილი იყო საქართველოს კპ ცკ-ს კონტროლზე. თუ რა თვალსაზრისით აიყვანა კონტროლზე, ეს ჯერ კიდევ საკითხავია!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამომძიებელი მუშა ფუტკრის მონდომებით მარცვალ-მარცვალ აგროვებს დამნაშავის ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებებს. ამ მიზნით დროულად და სრულყოფილად ატარებს ყველა საგამომძიებლო მოქმედებას, მითუმეტეს აუცილებელ საგამომძიებლო მოქმედებებს.

ერთი ეჭვმიტანილი თითქმის 11 თვე ემალება გამოძიებას, ბოლოს და ბოლოს მას აკავებენ, ხოლო მის ტანსაცმელს და სხვა მოხმარების საგნებს 11 თვის შემდეგ იღებენ და აგზავნიან ექსპერტიზაზე. შედეგიც ლოგიკურია — ხანგრძლივი ხმარების და რეცხვის გამო საქმისათვის მნიშვნელოვანი სამხილი აღმოჩენილი ვერ იქნა, — ასკვნის ექსპერტი.

როცა ეჭვმიტანილი ნ-რი თ-რი სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე გაიყვანეს (1980 წლის 7-11 თებერვალი), მაშინვე რომ ამოეღო გამოძიებას მისი ტანსაცმელი და სხვა მოხმარების საგნები ქიმიურ ექსპერტიზაზე გასატარებლად, რა იქნებოდა?!

რატომ დაგვიანდა გადაუდებელი საგამომძიებლო მოქმედება, გამომძიებლის დაუდევრობაა ეს თუ შეგნებულად დაშვებული შეცდომა, სად იყო ამ დროს ის, ვისაც ევალებოდა ზედამხედველობა გამოძიებაზე?! სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის 1980 წლის 4 ოქტომბრის დასკვნით გრძელიშვილის ტანსაცმლიდან აღებულ მტვერში აღმოჩენილია ნავთობპროდუქტების და ქვანახშირის მყარი ნაწილაკები (ბითუმი, გუდრონი). ასევე მის პალტოზე აღმოჩნდა ნავთობპროდუქტების (ბითუმი, გუდრონი) დანაშრევები.

საქმეში არის მონაცემები იმის შესახებ, რომ გრძელიშვილის ხელჩანთა და სხვა ნივთები გადაყარეს რკინიგზაზე. ეჭვმიტანილები კი ცხოვრობდნენ რონოდში (ვაგონში).

ქიმიური ექსპერტიზა რომ დროულად დანიშნულიყო და ჩატარებულიყო, ასევე გამოძიებას რომ დროულად ჩაეტარებინა ეჭვმიტანილების საცხოვრებელი რონოდის (ვაგონის) დათვალიერება (და არა 14 თებერვალს), შესაძლოა იქ აღმოჩენილიყო უდავო მტკიცებულებანი, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ ამ მკვლელობას, მითუმეტეს, რომ საქმეში იმის მონაცემებიცაა, რომ რონოდში იყო სისხლიანი ბოთლი, პირსაწმენდი და აგრეთვე იატაკიც იყო სისხლიანი.

ვინ უნდა აგოს პასუხი, ვის სინდისზეა აუცილებელი საგამომძიებლო მოქმედებების დაგვიანება, სადაა ამ დროს პროკურორი, ვინც პირდაპირ და არაპირდაპირ აგებს პასუხს ყოველივე ამ დარღვევებისათვის?!

**ხად არის ნივთმტკიცება**

დ. გრძელიშვილის ტანსაცმელსა და სხეულიდან ამოღებული თმები და თმის მაგვარი ბეწვები შემთხვევის დღესვე იქნა ამოღებული, დალუქული და ნივთმტკიცებად ცნობილი. სწორედ ამ ნივთმტკიცების მიმართ ჩატარდა სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზები, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1980 წლის 12 დეკემბერს ქ. რუსთავის პროკურატურამ მიიღო პასუხი დ. გრძელიშვილის სხეულზე და ტანსაცმელზე აღმოჩენილი თმების და თმის მაგვარი ბეწვების ეჭვმიტანილთა თმებთან შედარების შესახებ:

**Прокурору г. Рустави**
**ст. советнику юстиции**
**т. КУРДАДЗЕ М. З.**

Направляются заключения экспертов №№ 279 и 280, составленные по результатам исследования волос, изъятых по уголовному делу № 2812, по факту убийства и изнасилования Грдзелишвили Д., две таблицы и волосы после исследования.

**Приложение**: заключения экспертов №№ 279 и 280, две таблицы — всего на 11 лист. и пакет с волосами.

**А. Н. САВИЦКИЙ,**
**зам начальника отдела института.**

ექსპერტის დასკვნით, დ. გრძელიშვილის კაბის ქვედა ბოლოზე აღმოჩენილი თმები ემსგავსება თ-რის თმებს, მაგრამ იმ დროისათვის არსებული მეცნიერული კვლევის მეთოდებით გამოძიებას არ ჰქონდა კატეგორიული დასკვნის გაკეთების უფლება თმების იდენტიფიკაციის შესახებ.

დღეისათვის კი არსებობს მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომელიც კატეგორიულად იძლევა დასკვნას თმის კუთვნილების შესახებ, თუმცა, უმჯობესია, ამ საკითხის ირგვლივ ქ. თბილისის პროკურორის მოადგილის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის მიხეილ ქურდაძის ახსნა-განმარტებას გადავავლოთ თვალი.

„...თეორიულად ბიოლოგიურმა მეცნიერებამ, პროფ. ა. რისკოვის ხელმძღვანელობით ჩატარებული გენეტიკური გამოკვლევების საფუძველზე, მხოლოდ 1989 წლის ბოლოსათვის გადაწყვიტა დადებითად ადამიანის თმის კუთვნილების საკითხზე კატეგორიული დასკვნის გაცემის შესაძლებლობა“ **(გაზ. „თბილისი“ 7.05.1990).**

საქმის მიხედვით ჩანს, რომ დ. გრძელიშვილის სხეულზე და ტანსაცმელზე აღმოჩენილი თმის სამი ბეწვი, ექსპერტის დასკვნით, ალბათობის უფრო მეტი თვისობრივი მონაცემებით ემსგავსება ნ-რი კალენიკეს ძე თ-რის თმებს. ეს გამოკვლეული თმები კი რუსთავის პროკურატურას დაუბრუნდა. ნუთუ რუსთავის პროკურატურამ არ იცის, რომ 1989 წლის ბოლოდან დადებითადაა გადაწყვეტილი თმის კუთვნილების საკითხზე კატეგორიული დასკვნის გაცემის შესაძლებლობა. და თუ იცის, ისიც ხომ უნდა იცოდეს, გაუხსნელი საქმე რომ მძიმე ტვირთად აწევს პროკურატურას. რატომ დაუყოვნებლივ არ განაახლა დ. გრძელიშვილის საზარელი მკვლელობის საქმის წარმოება და არ დანიშნა (გნებავთ კომისიური) სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზა. ხომ არ აჯობებდა, რუსთავის პროკურატურას ბოსტნეულში პესტიციდებისა და ნიტრატების ძებნასთან ერთად მკვლელებიც ეძებნა?!

დარეჯან გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის საქმეზე შეგროვილი მასალების შესახებ არსებობს 10 ტომი. როდესაც უზენაესი საბჭოს კომისია მუშაობას შეუდგა, კომისიას არ მიუღია იმ 10 ტომთან თანდართული ნივთმტკიცება, რაც ეჭვის საფუძველს იძლევა, რომ ნივთმტკიცება დაიკარგა. გამოძიებამ კი კარგად უნდა იცოდეს, რომ გამომძიებლის მიერ რაიმე, საქმისათვის თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი საგნის არათუ დაკარგვა, არამედ რამდენადმე გაუფასურებაც კი დანაშაულია. თუკი დ. გრძელიშვილის კაბის ქვედა ბოლოზე აღმოჩენილი თმის 3 ღერი (რომელიც ექსპერტიზამ ერთ-ერთი ეჭვმიტანილის თმის მსგავსად სცნო) დაიკარგა, ე. ი. გვყავს დამნაშავეც, ვინც კონკრეტულად უნდა აგოს პასუხი, რა ფორმით და რამდენად, ეს ცალკე გამოძიების საგანია.

გამოძიებამ უნდა გაარკვიოს ისიც, თუ რომელი პროკურორის (ქურდაძის თუ ლომიძის) მუშაობის დროს დაიკარგა ნივთმტკიცება, ვინ დაკარგა, პასუხი აგო თუ არა ვინმემ ნივთმტკიცების დაკარგვისათვის და თუ პასუხი არავინ აგო, მაშინ სად იყო ქალაქის პროკურორი?!

დანაშაული მოხდა 1980 წლის 30 იანვარს. 7 თებერვალს, როგორც ეჭვმიტანილი, თ-რი შემოწმებული იქნა სხეულის დაზიანებებზე, იმავე დღეს აღებული იქნა სისხლის და ნერწყვის ნიმუშები ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად. 1980 წლის 14 თებერვალს თ-რის თანდასწრებით შემოწმდა მისი საცხოვრებელი ვაგონი (რონოდი). ეს ადასტურებს იმას, რომ მკვლელობის დღიდან 14 თებერვლის ჩათვლით თ-რი რუსთავშია. თ-რი დააპატიმრეს 1980 წლის 19 დეკემბერს. ბრალი წარედგინა 28 დეკემბერს. დადგენილებაში მითითებულია: „...ქ. რუსთავის პროკურორის თანაშემწემ, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა გ. წამალაშვილმა, განვიხილე საქმე დარეჯან უშანგის ასული გრძელიშვილის გაუპატიურებასა და მკვლელობასთან დაკავშირებით. მივიღე მხედველობაში ის გარემოება, რომ საქმეზე შეგროვილია საკმაო მასალები, რაც იძლევა ნ-რი კალენიკეს ძე თ-ზე ბრალდების წარდგენის საფუძველს მასში, რომ მან 1980 წლის 30 იანვარს, დილით დაახლოებით 7 საათსა და 20 წუთიდან 8 საათამდე დროის მონაკვეთში, ქ. რუსთავში, ბალანჩივაძის ქუჩაზე მდებარე № 9 საშუალო სკოლის სპორტდარბაზის კედელთან გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად, ფიზიკური ძალადობის გამოყენებით, ჩაიდინა ქ. რუსთავში მცხოვრები დარეჯან უშანგის ასული გრძელიშვილის გაუპატიურება, შემდგომ კი ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ჩაიდინა ამ უკანასკნელის განზრახ მკვლელობა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. 1980 წლის 19 დეკემბერს ეჭვმიტანილის სახით დაკავების დროს მას აღმოაჩნდა იარაღი — დანა, რომელსაც იგი ატარებდა სათანადო ნებართვის გარეშე — უკანონოდ...“

ჩვენთვის სრულიად გაურკვეველია, თუ რისთვის დასჭირდა გამოძიებას იმ სიყალბის საქმეში ჩაკერება, სადაც აღნიშნულია რომ ნ-რი კალენიკეს ძე თ-რი დანაშაულის ჩადენისთანავე (ე. ი. 30 იანვარს) მიიმალა. თუ მიიმალა, მაშინ როგორღა გაატარა გამოძიებამ იგი სამედიცინო და ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე, ან 14 თებერვალს როგორღა გაჩხრიკეს მისი თანდასწრებით მისივე საცხოვრებელი ვაგონი?

საქმეში მოიპოვება ცნობები, სადაც აღნიშნულია, რომ ნ-რი კალენიკესძე თ-რის მიმართ საკავშირო ძებნაა გამოცხადებული. თუ როგორი „მონდომებით“ ეძებს რუსთავის პროკურატურა დ. გრძელიშვილის გაუპატიურების და მკვლელობის მონაწილეობაში ეჭვმიტანილ ნ-რი კალენიკეს ძე თ-რს ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თვით ნ-რი თ-რის ჩვენება.

**ამონაწერი ეჭვმიტანილ ნ-რი კალენიკეს ძე თ-რის დაკითხვის ოქმიდან (ტ. 3. ს. ფ. 21):**

„...რუსთავში მილიციაში დაკითხვის დროს, მე მეუბნებოდნენ, რომ შენ არ მოგიკლავს გ-ი და ვ-ი გოგ-ილებმა მოკლეს და შენ უნდა თქვა, მე რა უნდა მეთქვა, როცა არაფერი არ ვიცი ამ საქმის ირგვლივ. ვითხოვე ჩემთვის მოეცათ დრო. მომცეს დრო. კაბინეტში მარტო ვიყავი და ჩემი ხელით მინდოდა თავის მოკვლა, მაგრამ ვერ მოვასწარი. მის შემდეგ გამომიშვეს, არ მახსოვს რიცხვი, სახლში როდის ჩავედი. დაწვრილებით საუბარი არ მქონია, როცა მითხრა დედამ, რატომ ამდენ ხანს არ ჩამოხვედი, მე ვუთხარი, რომ ჩვენი ვაგონების ახლოს გოგო მოკლეს და დაკითხვაზე ვყავდით. დედისათვის მეტი არაფერი მითქვამს. ძმას კი ვუთხარი, რომ მუცელზე ვიყავი გაჭრილი.

„რუსთავიდან მგონი აპრილის თვეში წავედით გორში. ფ-მა ცი-ვა, რომელსაც მე რუსთავში ვხვდებოდი, გორში ჩამოვიდა ალბათ სანახავად. გოგ-შვილი რუსთავიდან განთავისუფლდა სამუშაოდან. გორიდან წავედით ურეკში მგონი ივლისის თვეში. ფატიმა ურეკშიც ჩამოვიდა, არ ვიცი, რა რიცხვი იყო. იქიდან წამოვიდა მეორე დღეს საღამოს. ურეკში ვხვდებოდი ბო-ძე სი-ს, რომელიც ცხოვრობს მეურნეობის ბინებში და მუშაობს საბავშვო ბაღში. ურეკიდან წამოვედით ცხრა დეკემბერს. მე წამოვედი მაშინით (სამსახურის მანქანა) სახლში გამოვიარეთ და დილით თბილისში ვიყავით“...

**ამონაწერი ნ-რი კალენიკეს ძე თ-რის დაკითხვის ოქმიდან: (ტ. 3. ს. ფ. 22):**

როგორც ნ-რი კალენიკეს ძე თ-რის ჩვენებიდან ირკვევა, ურეკში „დასასვენებლად წასულ“ ძებნილ ნ-რი თ-რს ძალიან ადვილად აგნებს მისი საყვარელი ფ-მა ცი-ვა და საქმის გახსნით დაინტერესებული რუსთავის პროკურატურა კი უძლურია ეჭვმიტანილ ნ-რი კალენიკეს ძე თ-რის ადგილსამყოფელის დადგენაში.

თუკი გამოძიება დემონსტრაციულად არ ხუჭავდა ნ-რი თ-რის ძებნისას თვალს, მაშინ რატომ არ დაუწესა ფ-მა ცი-ვას მეთვალყურე, რომ მისი გადაადგილების კოორდინატები ცნობილი ყოფილიყო?!

რა დავარქვათ ამას — გამოძიების არაკომპეტენტურობა, გულგრილობა, თუ ახალი გამომძიებლის (წამალაშვილის) სრული უცოდინრობა დ. გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული მასალების მიმართ?!

დ. გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 1980 წლის 30 იანვარს. საქმის წარმოება შეჩერდა 1985 წელს, იმავე წელს გამოძიება კვლავ განახლდა, მაგრამ გამოძიებამ ერთი ნაბიჯითაც

(დასასრული მე-8 გვ.)

წერილი რედაქციას

# რეაბილიტაცია — ცოცხლებს

წარმოიდგინეთ, რომ დისპეტჩერმა, რომელიც ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს, მგზავრებით სავსე თვითმფრინავების ფრენას ხელმძღვანელობს, უეცრად პოსტი მიატოვოს და... ქუჩაში გამოტანილი ყველის საყიდლად საკმაოდ გრძელ რიგში ჩადგეს, ჰაერში კი თვითმფრინავები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ძირს ცვიოდნენ....

წარმოუდგენელია? ალბათ. მაგრამ იმ დროს, როდესაც თვით ქვეყნის ხელმძღვანელის დონეზე, ნატიფი სითაღლითით დუღს და გადმოდუღს კორუფცია, იყიდება მიწები, ინგრევა ეკლესიები, ნადგურდება ბუნება, დეგრადირდება გონება, ყალბდება ისტორია, ყალიბდება შეყოვნებული მოქმედების ბომბები, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იტანჯება ათასობით პატიოსანი ადამიანი და სხვა (ერთ საგაზეთო წერილში ხომ შეუძლებელია ყველა ამ ნეგატიური მოვლენის სრულად ჩამოთვლა!)... ასეთ დროს, განა იგივე არ არის, რომ ადგები და უკომპრომისო ბრძოლას გამოუცხადებ... გადამყიდველებს, ქელეხებსა და ბანკეტებს, ხალხმრავალ ქორწილებს. დაბალი კასტის წარმომადგენელ ბრაკონიერებს, უცხოური ავტომანქანების მფლობელებს, ანონიმ ავტორებს, ალკოჰოლისტებს, უმუშევრებს, ნემსისა და ნესვის ქურდებს და ა. შ.

განა ჩახჩახა ალოგიკურობის ნიმუში არ არის ის ფაქტი, როდესაც გემ „ადმირალ ნახიმოვის" დამღუპველ კაპიტანს, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და სახელმწიფოსაც მილიონობით მანეთის ზარალი მიაყენა — 15 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯი, თუნდაც ბოროტი ხულიგნობის ჩამდენ პირს კი (რომლის ქმედებასაც მსხვერპლი არ მოყოლია) — 13-ით?

განა უსაზღვრო ცინიზმის გამოვლინება არ არის ის ფაქტი, როდესაც უკვე მყარ ბოროტმოქმედად ჩამოყალიბებულ ბინების გამნაწილებელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წლების განმავლობაში ყიდა და ყიდა ბინები, დაიჭერ და 8 წელს მიუსჯი, 20 წლის გამოუცდელ ყმაწვილს კი, ვინ იცის, სწორედ იმ ურიგოდ „გაიმასქნებული" ბინის გაძარცვისათვის — 10 წელს?

აბა, წარმოვიდგინოთ, რამდენი ადამიანი ზის ციხეში სრულიად უდანაშაულოდ, და შევკრიბოთ მათდამი მისჯილი წლები; ამას დავუმატოთ ის ზედმეტად მისჯილი წლები, რომელთაც ქართველი მოსამართლეები აუცილებლად უსჯიან ქართველ ბრალდებულებს ფულის ვერგამოძალვის შემთხვევაში (რამეთუ კანონში წერია: „5-იდან 10-მდე..."). ამას აგრეთვე დავუმატოთ ჩვენი კანონით კანონიერად (ანუ უსამართლოდ და არაჰუმანურად) დასჯილი ის დანაშაულობანი, რომელთა სასჯელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში გაცილებით უფრო რბილი, ანუ ჰუმანური და ნაკლები იქნებოდა (მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ხომ ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით დროის ყადრი. რადგან ერთი უბრალო საქმის გასაკეთებლად ხუთ წელს ვფიქრობთ და ათს ვმოქმედებთ, სავალდებულოდ მიგვაჩნია, რომ ერთი უბრალო დანაშაულისთვისაც კი, ადამიანმა აუცილებლად „მასშტაბური" სასჯელი მოიხადოს).

ფასეულობათა გადაფასების დრო დადგაო. დიახ, ბევრიც გადავაფასეთ, მაგრამ იმას კი სამწუხაროდ არავინ იტყვის, რომ უღმერთობაა ახალგაზრდა კაცს 10 წელი მიუსაჯო, „მშობლიურ ციხეშიც" არ გააჩერო და მთელი საბჭოთა კავშირის თეთრი დათვები მოატარო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვ, ყველა იმ პირმა, ვისაც მცირეოდენი წვლილი მაინც მიუძღვის იმ სამარცხვინო, პატიმრებისათვის უსამართლოდ მისჯილი წლების არსებობაში, დაუყოვნებლივ დაიკავოს ულვთოდ განკითხულთა ადგილი საპატიმროში და ისინი კი უკლებლივ ყველანი გარეთ გამოუშვან. ამით, ეს ულვთოდ განკითხულნი საუკეთესო შესაძლებლობას შეიქმნიან მონანიებისათვის და, მონანიე ადამიანისათვის კი ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული.

საპატიმროში უსაფუძვლოდ მოხვედრილი ადამიანი უფრო მწვავედ და მგრძნობიარედ განიცდის ჩვენს საკონცენტრაციო ბანაკებში არსებული რეჟიმის აუტანლობას, რის შედეგადაც, იგი, რა თქმა უნდა, სხვაზე მეტად დააშავებს და მასზე მკაცრადაც დაისჯება. ამის შემდეგ საკითხავია, როდესაც ის განთავისუფლდება, რისი იმედი უნდა ჰქონდეს მისგან საზოგადოებას?..

ტყვეობაში (ანუ ლოდინში) გატარებული ყოველი საათი ორ საათს უდრის (ხოლო კომუნისტების მიერ შექმნილ სალოდინოში — ბევრად მეტს),

ღმერთო, უშველე მათ!

**ზურაბ ინანარიძე**

# არაკომპეტენტურობა?

**გაზეთ** „რესპუბლიკის" მე-6 ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ბატონ ნიკო ლეკიშვილთან. იგი ამას წინათ დედაქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ადრე კი მხოლოდ ქალაქის პარტიული ლიდერი იყო, წერს გაზეთი. ინტერვიუში ბატონი ნიკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქის და რაიონული საბჭოები არ ფუნქციონირებდნენ, რადგან მათ პრაქტიკულად ხელმძღვანელი არ ჰყავდათ. შემდეგ ხელმძღვანელებად აირჩიეს რაიკომის მდივნები, რადგან უკეთესი კანდიდატურები ვერ შეარჩიეს, — დასძენს ბატონი ნიკო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პროცესთან, როდესაც პარტიული ნომენკლატურა „უარს ამბობს" ხელისუფლებაზე და თავის თავს გადასცემს ამ ხელისუფლებას. ე. ი. პარტიიდან ისინი გადადიან საბჭოებში.

ბატონ ნიკოს პასუხებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი საბჭო არის საკანონმდებლო ორგანო. ამ აზრს იგი რამოდენიმეჯერ იმეორებს, „უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ორგანო", „საბჭო იქნება საკანონმდებლო ორგანო" „საბჭო საკანონმდებლო, ხოლო აღმასკომი აღმასრულებელ ფუნქციებს განახორციელებს", „ვიღებთ ახალ კანონებს". ეს ციტატები იმიტომ მოვიტანე, რომ არ გეგონოთ, ინტერვიუერს შეეშალა და ის რაც ბატონმა ნიკომ გადატანითი მნიშვნელობით იხმარა, მან პირდაპირი მნიშვნელობით დაწერა.

ინტერვიუდან შევიტყვეთ, რომ მუშავდება კანონი თბილისის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. მართლაც, არ გასულა რამოდენიმე დღეც და გაზეთ „თბილისის" 19 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა დოკუმენტი „ქალაქ თბილისის სტატუსი". ამ მასალის მესამე მუხლის პირველ ნაწილში წერია: რომ ეს არის თბილისის სტატუსის კანონის პროექტი, სათაურში ეს არაა აღნიშნული.

ამ დოკუმენტის წამძღვარებული წინათქმიდან ირკვევა, რომ განხილვის შემდეგ ქალაქის საბჭოს მორიგ სესიაზე იგი დამტკიცდება. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-17 თავი კარგად რომ სცოდნოდა ამხანაგ ნიკოს, რომელშიაც ჩამოთვლილია ადგილობრივი საბჭოების უფლებამოვალეობები, მაშინ ამგვარ ინტერვიუს არ მისცემდა გაზეთ „რესპუბლიკას" და არც გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებულ დოკუმენტში იქნებოდა ლაფსუსები.

დასკვნა მარტივია — არსებულ **არაფუნქციონირებად** საბჭოებში პარტიული ნომენკლატურის მექანიკური გადანაცვლება არ მოგვცემს სასურველ შედეგს. საქმე უფრო რთულადაა...

**ემირ ჯულელი**

**P.S.** გაზეთ „თბილისის" 29 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მეოცე მოწვევის მეცამეტე სესიის შესახებ. მასში სიტყვა-სიტყვით ვკითხულობთ, რომ დეპუტატებმა „სარედაქციო კომისიას დაავალეს შეავსოს პროექტი (თბილისის სტატუსის კანონის პროექტი ე. ჯ.) და საბოლოოდ ჩამოაყალიბოს იგი, დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მორიგ სესიას, რომლის შემდეგ მას დაამტკიცებს საქალაქო საბჭოს შემდგომი სესია". მკითხველმა განსაჯოს იმ საბჭოს სამართლებრივი კომპეტენტურობა, რომელიც **„არ ფუნქციონირებდა"** თავმჯდომარის არჩევამდე.

# „ბატონ-პატრონები" და ბატონ-პატრონები

**გაზეთ** „კაბადონი-8"-ის ამა წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის განცხადება, რომ აპრილის შუა რიცხვებში, მოსკოვში, რამდენიმე რესპუბლიკაში არსებულ ამ პროფილის ინსტიტუტების ხელმძღვანელების თათბირზე მათ დირექტორებს წინადადება მიეცათ, რომ ნაწარმის დასამზადებელი შეკვეთები ცენტრში არსებულ ქარხანაში წარედგინათ. ამგვარი „დახმარებისათვის" გარკვეულ პერიოდში თითოეულ მათგანს 50 ათასი მანეთი უნდა გადაერიცხა...

მოთხოვნა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე განიხილეს და მოიწონეს. აღმაშფოთებელია, რომ „ბატონ-პატრონის" ეს მოთხოვნა რატომღაც სამეცნიერო საბჭომ (თოთხმეტმა წევრმა, ერთი წინააღმდეგი იყო) გადაწყვიტა და ნამდვილ ბატონ-პატრონს, კოლექტივს, არავინ დაეკითხა.

გაზეთში გამოქვეყნებულმა განცხადებამ საზოგადოების, ეროვნული ფორუმის, სახალხო ფრონტის გულისწყრომა გამოიწვია. ამის გამო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კოლექტივის დიდი ნაწილის მოთხოვნით იძულებული შეიქნა, მტკივნეული საკითხები სამსჯავროზე გამოეტანა, საგანგებო თავყრილობაზე საერთო სურვილითა და თანხმობით გადაწყვეტილიყო ყველა ის პრობლემური თუ მტკივნეული საკითხი, მოგვარებულიყო ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობა. კრებას დაესწრნენ ეროვნული ფორუმის, სახალხო ფრონტისა და მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის წარმომადგენლები.

კრებაზე ერთ-ერთ პრობლემად მატერიალური წახალისების ფონდის გადანაწილების საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა. ითქვა დამხმარე საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სუსტ მდგომარეობაზე, ინტერფრონტის ხელოვნურად შეკოწიწების ცდის შესახებ...

საერთო ვითარების შესაფასებლად კრებაზე გამოსული რამდენიმე თანამშრომლის ნათქვამი გვინდა შემოგთავაზოთ.

ინდივიდუალურ დაცვათა საშუალებების ლაბორატორიის ინჟინერი **გოგი თავდგირიძე:** საქართველოს დამოუკიდებლობა კარზეა მომდგარი. ამ ვითარებაში, ახალი კონტაქტების დამყარებამდე შეუძლებელი უნდა გავაკეთოთ — მატერიალურად უზრუნველვყოთ უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ცხადია, თავისთავად ისმის კითხვა, თუ როგორ ხვდება ინსტიტუტი მოახლოებულ ვითარებას. მხოლოდ ფაქტებს მოვიხმობ:

წელიწადნახევრის წინათ მოვედი სამუშაოდ, ყველაფერი ლამაზ ფერებში მეჩვენებოდა. მაგრამ ტრაგიკული 9 აპრილის შემდეგ ყველაფერი უკუღმა დადგა — თვალნათლივ დავინახე ინსტიტუტში არსებული რეალური ვითარება, ვიწამე ის სიტყვები, ნოემბერში გამართულ მოშიმშილეთა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმებების დროს რომ აკადრეს აქაურ ზოგიერთ თანამშრომელს, როცა თურმე პარტაქტივმა მომიტინგეთა ადგილზე აშკარა ნადირობა მოაწყო „ურჩსა" და „არასასურველ" თანამშრომლებზე. იგივე პარტაქტივმა ტრაგედიის მეორე დღეს ჩატარებულ თათბირზე 9 აპრილი ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების თავყრილობად მონათლა, დაგმო ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოქმედება. სისტემატურად გვამოწმებდნენ დაშავებულთა თანაგრძნობისა და საერთოდ ეროვნული მოძრაობისათვის მხარდამჭერების გამოვლენის მიზნით.

განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ინსტიტუტის სხვადასხვა ეროვნების თანამშრომელთა შორის სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის ჩატარებული კრების შემდეგ. ჯგუფის შექმნას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დირექციამ და მისი არსებობა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

დასაგმობია ინსტიტუტის დირექციის სიჯიუტე ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისადმი. ამგვარმა დასაძრახმა განსჯამ ინსტიტუტის არაქართველი თანამშრომლები კიდევ უფრო დაარწმუნა რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ფორმალობაში, იმაში, რომ სულაც არ არის აუცილებელი ქართულად მეტყველება და საქმის წარმოება, რომ ენის საკითხი ვილაცეების უშნო ახირება გახლავთ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კი არაფერს აკეთებს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ეტაპობრივად განხორციელებისათვის, მარტოოდენ კომუნისტური ლოზუნგების „გაქართულებით" იფარგლება.

უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა ინსტიტუტის პროფკომიტეტის არჩევნებმა, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სახალხო ფრონტმა. ამის გამო დირექცია ცდილობს ყველა საკითხი პროფკომიტეტის ჩაურევლად გადაწყვიტოს, მაქსიმალურად გამიჯნოს სახალხო ფრონტი. მაგალითისათვის თანამშრომელთა შემცირებაზე შევჩერდები: აღნიშნულთან დაკავშირებით პროფკომიტეტის თავმჯდომარემ დირექციას წინადადება მისცა, რომ ცალკეული პირებისათვის ხელფასების მომატებისაგან თავის შეკავების გზით შეგვენარჩუნებინა კოლექტივის წევრები, ქუჩაში არ გაგვეშვა ხალხი. ცხადია, ხელმძღვანელობამ ამას ყური არ ათხოვა და ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის (სახალხო ფრონტის სამი წევრის გარდა) მუშაკებისათვის ხელფასის გაზრდის გამო თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა სამსახურიდან დაითხოვეს. ინსტიტუტის დირექციამ უსახსრობა მოიმიზეზა და არ მიიღო ქართულ ენაზე მბეჭდავი მემანქანე. სულ მალე კი პროფკომიტეტთან შეუთანხმებლად მისთვის სასურველ ორ მუშაკს ოთხმოც-ოთხმოცი მანეთი მოუმატა (!).

ამიტომაც არ მიკვირს, რომ ხვალიდან კიდევ მეტად დამიწყებენ დევნას — ყველა ხერხი იქნება გამოყენებული ჩვენი ლაბორატორიის სამუშაო თემების დროულად ჩაბარების შესაფერხებლად, რაც პრემიების დაკარგვას გამოიწვევს, რაც კოლეგების ჩემს მიმართ დაპირისპირების მიზეზი გახდება, რამაც სამსახურიდან წასვლა უნდა მაფიქრებინოს: ე. ი. მომიცილებენ სხვისი ხელით...

აირმტვერდამჭერი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნანა ნახუცრიშვილი:** საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ინსტიტუტის დირექციის წინაშე ვსვამ საკითხს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობასთან, შრომის დაცვის ინსტიტუტის ცენტრიდან გამოყოფაზე და აკადემიის სისტემაში გაერთიანებაზე. ინსტიტუტში შექმნილი დღევანდელი ვითარება ხომ სწორედ ამის შედეგია. ჩვენთან საქმეზე აღარავინ ფიქრობს, იგი არ არის ძირითადი, მთავარია როგორმე, ნებისმიერი გზით ფულის შემოტანა. არავინ კითხულობს, რა და როგორ გაკეთდა! ახლა, როცა ინსტიტუტში არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი არ მუშაობს, ცოტა უხერხულიც კი არის აკადემიაში გაერთიანების მოთხოვნა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. თუ გვსურს საქართველოში არსებული საწარმოების მოვლა-პატრონობა, იქ მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესება, აუცილებელია ინსტიტუტში სადღეისოდ არსებული ვითარების მთლიანად შეცვლა, განახლება.

არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ამჟამად ჩვენთან საკმაოდ არის გაძლიერებული ე. წ. იმპერატივი-დირექტორი, მთავარი ბუღალტერი, საფინანსო განყოფილება. არავინ არ ვიცით საიდან, რა გზით გროვდება დანაზოგი, რომელიც შემდეგ საბინაო კოოპერატივის ფონდში ირიცხება.

უჭირს საქართველოს, უჭირთ უსახლკაროდ დარჩენილ აჭარლებსა და სვანებს, ჩვენ კი მათთვის სახლების შესყიდვის ნაცვლად იმ თანამშრომლების კოოპერატიული ბინების საფასურს ვიხდით, რომლებიც თვეში ათას მანეთს იღებენ და არხეინად, დამშვიდებით გრძნობენ თავს.

შემოვდივარ წინადადებით: მოსკოვისაგან მოთხოვნილი 50 ათასი მანეთი მერაბ კოსტავას საადგილმამულო ფონდში გადავრიცხოთ!

არასწორად მიმაჩნია დირექტორის გადაწყვეტილება — ვითომცდა უსახსრობის გამო ერთ-ერთი თანამშრომლის ნახევარ შტატზე გადაყვანა და სანაცვლოდ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი თანამშრომლის, პენსიონერ ბ. ბარსუკოვის ორასოც მანეთიან ადგილზე მიღება, ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის მუშაკებისათვის ხელფასების მომატება.

ინფორმაციის განყოფილების თანამშრომელი **ლია ჯაფარიძე:** ოცდაშვიდი წელიწადია ინსტიტუტში ვმუშაობ. წლეულს, იანვრიდან, ნახევარ განაკვეთზე სამუშაოდ გადამიყვანეს, პენსიამდე სამი წელი დამრჩა, ამასთან, ბავშვებს ჩემს გარდა არავინა ყავთ მარჩენალი. მიზეზად ხელფასის ფონდის სიმცირე დამისახელეს. მაშინ როცა ახალმიღებულ პენსიონერ მუშაკს თავისუფლად დაუთმეს მთლიანი განაკვეთი, ხელფასიც მათთვის სასურველ ხალხს მოუმატეს. სინამდვილეში სახალხო ფრონტის კრებებზე დასწრებისათვის დამჩაგრეს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლები ქართველები იყვნენ, თანაც უმრავლესობა სახალხო ფრონტის წევრები.

საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი **მერი კიკნაძე:** ჩვენი ბიუროს ლიკვიდაციის შემდეგ სამსახურიდან წასული თვრამეტი თანამშრომლიდან ჩვიდმეტი ქართველი, სახალხო ფრონტის წევრი გახლდათ. ცხადია, ამგვარი ნაბიჯი ინსტიტუტის დირექციამ წინასწარ მოფიქრებულად და გამიზნულად გადადგა, მოიშორა „ექსტრემისტების" ჯგუფის დიდი ნაწილი, თანაც თავისუფლად შეიძლებოდა ინსტიტუტის ქართველი და სხვა ეროვნების თანამშრომლების ურთიერთდაპირისპირება. ჩვენდა სასახელოდ, ამგვარი წაკიდება არ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ შემცირებულთა შორის აღმოჩნდა მარტოხელა დედა, საღამოს სწავლების სტუდენტი იამზე გიორგაძე, რეპრესიები მოუწყეს ახალგაზრდა ნიჭიერ მათემატიკოსს ასმათ გუჯაბიძეს. ჩემს მიმართ კი ყველა ღონე იხმარეს, პროფკომიტეტში რომ არ ავერჩიე. საჭირო თანხა არ გამოგვიყვეს სახელოსნოებში ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იქ მომუშავეთა მტვერში დახრჩობისაგან გადასარჩენად. და ყოველივე ამის შემდეგ, მოსკოვში სურთ ამხელა თანხის გადარიცხვა.

კიდევ სხვა ბევრ საჭიროსა და გადაუდებელ საკითხზე ითქვა იმ კრებაზე, გაიმართა ცხარე და უშელავათო კამათი, გამოითქვა მრავალი მოსაზრება თუ მოთხოვნა.

შეკრებილთ საკუთარი მოსაზრება გაუზიარეს ირაკლი წერეთელმა და ავთანდილ იმნაძემ, რომლებმაც ერთობისაკენ, საერთო მოქმედებისაკენ, დამშვიდებისაკენ მოუწოდეს ინსტიტუტის დირექციასა და კოლექტივს.

დასახელებული კრების შემდეგ თავად გავეცანი ინსტიტუტის რამდენიმე განყოფილების, ლაბორატორიის, საამქროს საქმიანობას და უშუალოდ დავრწმუნდი კრებაზე თქმულის სისწორეში. ისევ მოვისმინე თანამშრომელთა პრეტენზიები და მოთხოვნები, უკმაყოფილება შექმნილი ვითარების გამო. ვესაუბრე დირექტორს, ბატონ ივლიანე ცინცაძეს, რომელმაც თანამიმდევრულად, საქმიანად მომითხრო სადღეისო მდგომარეობაზე, სამომავლოდ გასაკეთებელზე. იმედიანმა დავტოვე იქაურობა. კიდევ უფრო დავიმედდი, როცა შევიტყვე, რომ ბატონმა ივლიანემ მოსკოვს გასაგზავნად შეპირებული 50 ათასი მანეთი მერაბ კოსტავას ფონდს ჩაურიცხა... და ყველაფერი თურმე ამით დასრულებულა.

სხვა არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ შრომის დაცვის ინსტიტუტში. დირექცია თურმე კვლავაც ძველებური, დრომოჭმული და ბიუროკრატიული ფორმებით მუშაობით ცდილობს ფონს გასვლას, ისევ ცენტრისაკენ უჭირავთ თვალი და ყურმოჭრილი მონებივით ასრულებენ იქაური „ბატონ-პატრონის" მოთხოვნებსა და ნება-სურვილს. არაფრად აგდებენ ნამდვილი ბატონ-პატრონის, ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის აზრს, მოთხოვნებს. მაგრამ, როდემდე?

**ბელა ჯილავაძე**

# ტერორისტის ჩანაწერები

**გამცემის** მზაკვრული მზერა მესიზმრებოდა და გულგახეთქილი ლოგინიდან წამოვვარდებოდი ხოლმე. ზამთარი ახლოვდებოდა. ნათესავების დახმარებით პუშკინის სახ. ინსტიტუტში ლექციები მომცეს ესთეტიკაში და ეთიკაში. ჩემი ცხოვრება სხვა, უფრო ხალისიან შინაარსს იძენდა, მაგრამ ხანდახან რომ მომაგონდებოდა ხრუშჩოვის მოსალოდნელი ჩამოსვლა, წელში გამცრიდა. ვფიქრობდი, იქნებ ეს ნალაპარაკევი ბავშვურ ბოდვად დარჩენილიყო. მაგრამ ეს უფრო ცუდ გუნებაზე მაყენებდა. სილაჩრეს ისე როგორ უნდა დავეჯაბნე, რომ ჩემივე გადაფურთხებული მევე ამელოკა, ამიტომ ვაიძულებდი ჩემს თავს, ყოველდღე მეფიქრა ამაზე. ჩემი და ოთარის შეხვედრაც ისე არ ჩაივლიდა, რომ თავდასხმის რაიმე დეტალზე არ გვესაუბრა. იმ დროისათვის, როდესაც საბრძოლო დავალებისთვის ჩემს მიერ ჩამოტანილ „ლიმონკებს" მივილებდი, მისი რჩევით, რაც ინსტიტუტისთვისაც გამომადგა, შევიძინე წიგნების ისეთი ჩანთა, რომელსაც განიერი ძირი ჰქონდა, რომ მასში ჩადებული საგანი გამოსაცნობი არ ყოფილიყო. თანაც სასურველ მომენტში დამედო ძირს, ჩემგან მოშორებით, რომ ჩავარდნის შემთხვევაში ცოტა შანსი მაინც დამრჩენოდა მეთქვა, ეს ჩანთა მე არ მეკუთვნისო. თუ უკვე ამოვიღებდი და ვერ ვისვრიდი, რგოლი უნდა მომეძრო და ბერკეტისთვის ხელი შემეშვა, რათა ცოცხალი არ ჩავვარდნილიყავი.

ავბედითი დღე და საათი მოულოდნელად დადგა. „ღვინის ქურდი მთხლეზე გადააყოლესო", — უთქვამს ქართველ ხალხს. რას ველოდი და როგორ ამაოდ დამთავრდა ყველაფერი. მესიზმრებოდა აფეთქებები, გადატრიალებული მანქანები, მაგრამ... ერთხელაც ჩემს ოთახში შემოსული სამი ერთნაირად ჩაცმული მამაკაცი უკითხავად ცარში უშვებს ვითომ დროებით, ფქვილკომბინატის თანამშრომელ გოგოებს, რომლებმაც წაღებული წიგნები უკან მომიტანეს. ერთი ჰალაროსანი შემოსვლისთანავე ვიცანი. ის მამიდაჩემის ეზოში ცხოვრობდა და ვიცოდი, რომ ჩეკისტი იყო. სუნთქვა შემეკრა.

— თქვენ გამგე ბრძანდებით? — ჩემთან შემოსასვლელ კარებს „გამგე" ეწერა, ვინაიდან ჩემი ოთახიდან გამგესთან იყო შესასვლელი.

— არა, გამგე აქ არ არის.

— თქვენი გვარი?

— მელაძე, — ორმა მაგიდას შემოუარა და აქეთ-იქით ამომიდგა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, — მითხრა ჰალაროსანმა და გულის ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო. კი დავხედე ქაღალდს, მაგრამ შიგ რა ეწერა, მგონი, ვერც წავიკითხე და ახლა კი სულ არაფერი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, მოვარდისფრო ქაღალდი რომ იყო.

მეხსიერებას ერთი რამ მკვეთრად შემორჩა. შემოიყვანეს ჩხრეკის მოწმეებად ჩვენი თანამშრომლები, რაღაცას ერთმანეთს ანიშნებდნენ და ღიმილსაც კი ახერხებდნენ. უცებ ერთი რუსი ჩეკისტი, რომელიც ჩაცუცქული კარადას ჩხრეკდა, შეშინებული წამოვარდა.

— გამოიღე, შენ თვითონ გამოიღე, — მიყვირა.

— დავწვდი. წითელ ტილოში რაღაცა იყო გახვეული. ხელის მოკიდებისთანავე გამახსენდა, რომ ეს ცარცი იყო.

— ცარცია, — ვუთხარი.

— უი, — თქვა ელიკომ, — ეს ზაქრომ შეინახა, სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, ხომ იცით, ხანდახაც ცარციც ძნელი საშოვნელია, — თან გადაიკისკისა.

„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი", — გავიფიქრე. უსიამოვნო გრძნობა ალმეძრა. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვმუშაობდით, თუ პატივის ცემა არა, ყოველ დღე ერთმანეთს ვესალმებოდით, გამარჯობას და დილამშვიდობისას ვუსურვებდით. ახლა კი ისინი მთელი თავისი სისასტიკით ჩემი, უკვე რაღაცაში ეჭვმიტანილის, წინააღმდეგი იყვნენ. მე კი არ მიყურებდნენ, არამედ ჩეკისტების ყოველი სურვილის მიხვედრას ცდილობდნენ.

როდესაც ჩხრეკას მორჩნენ, მითხრეს, შენს სახლში უნდა წავიდეთ ჩხრეკის გასაგრძელებლადო. პროტესტი განვაცხადე. უბრალოდ, არ შემეძლო დედაჩემის სასოწარკვეთილების ყურება. მაგრამ ვინ დაეძებდა დედის სასოწარკვეთილებას. იქაც მოწმეები მონახეს, მაგრამ ჩემი მეზობელი ანა ბიბლიოთეკის თანამშრომლებივით კი არ იქცეოდა, საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ჩეკისტებისადმი.

გამოსვლისას დედაჩემი კარებთან ხელდაჭდობილი იდგა. მინდოდა ჩამევლო, არ დამენახა მისი ტანჯვა, მაგრამ ვერ შევძელი. ლოყაზე ვაკოცე. ლოყა იყო უჩვეულოდ ცივი, მისი ბაგეებიც ცივად შემეხო, როდესაც კარებში გავდიოდი, მან რაღაც წამოიხროტინა, მაგრამ უცებ მოკუმა ტუჩები. სანამ სადარბაზოში ჩავდიოდი, ვფიქრობდი, აი ახლა მომწვდება სასოწარკვეთილი ქვითინი ან ტირილი, სულაც შესაძლოა კივილიც, მაგრამ სახლიდან ხმა არ ისმოდა. უაღრესად მადლიერი ვიყავი სტასისი და ანიასი, რომლებიც მარტოდ დარჩენილ დედასთან დარჩნენ.

●

მანქანამ პლეხანოვისკენ აიღო გეზი. უცებ წინ მჯდარი ჩეკისტის ხელის მინიშნებით მანქანამ მეჩნიკოვის ქუჩაზე ჩაუხვია და როდესაც ოთარის სახლის ფანჯარას მივუახლოვდით, ჩემს გვერდით მჯდომმა ჩეკისტმა ოდნავ თავი დახარა, რომ ფანჯრისთვის აეხედა. არ ვიცი, წინასწარ განზრახვით, რომ ამით დავეშინებინეთ, თუ უნებლიედ გასცეს თავისი თავი. გასაგები იყო, რომ მათ ოთარიც უნდა დაეპატიმრებინათ.

სუკ-ში ამჯერად ბესიკის ქუჩის ნაცვლად ლესია უკრაინკას ქუჩიდან შემიყვანეს. ისეთი კარებიდან შემიყვანეს პირდაპირ ციხის კომენდატურაში, რომლის არსებობას თბილისელების უმეტესობა ვერც ვარაუდობს. ის კარები მივაგენი მხოლოდ ახლა, როდესაც 29 წლის შემდეგ მამაჩემის რეაბილიტაციაზე ვიყავი გამოძახებული. შსს მისადგების მარცხნივ რკინის პატარა კარებია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ის კარი ახლა გაუქმებულია.

მომაგონდა ბოილის „საყოველთაო მხიარულების დღე". ისევ იგივე პროცესი ჩემი საკანში ჩასმისა. ისევ შიმშილი, ისევ სიცივე, ისევ უბედურება, დედის მარტოობა. როდესაც საკანში ჩემს უკან კარები მოიხურა და დავრჩი მარტო, დავეცი მუხლებზე და შევღაღადე ღმერთს: „ღმერთო, მიშველე, გამიყვანე აქედან ცოცხალი". წარმომიდგა ჩემი პირველი დაპატიმრების დღე, მაშინაც ასევე დავეცი მუხლებზე და შევღაღადებდი ღმერთს. მაგრამ სად ვიყავი მერე? იმ დღიდან 12 წელი გავიდა და საშინლად გული დამწყდა, რომ არც ერთხელ ღმერთი არ მიხსენებია...

მახსოვს, ჩემი პირველი დაპატიმრების დღეს ჩეკისტ მალანიას კაბინეტში ძალით, ყვირილით მზად იყვნენ პირი გაელებინებინათ და მაშით ამოეგლიჯათ ჩემთვის დანაშაულის აღიარება. ამჯერად კი ეს ასე არ მოხდა. დაკითხვის მაგიერ პირდაპირ საკანში ჩამიშვეს. ნუთუ, ასე დარწმუნებული არიან, რომ ჩემით საქმეს გახსნიან და არ ჩქარობენ? ან რატომ შეხედეს ოთარის ფანჯარას? გულს მისერავდა ათასი ეჭვი და ფიქრი. ჩემს მეხსიერებაში წამოტივტივდა ერთი ყოფილი პატიმრის სახე. მე მას ველაპარაკე ამ ამბავზე, ვინაიდან უაღრესად საჭირო იყო ხალხის დასარაზმად, თუ ტერორი განხორციელდებოდა. მას ოთარის თანხმობით ველაპარაკე...

მახსოვს, პირველი დაპატიმრებისას ჩემი თავის დიდი იმედი მქონდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ ვიტყოდი არაფერს, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. როგორც ჩემი ამხანაგები, ისევე მე, ხელად ავლაპარაკდით. ახლა კი ეს დარწმუნება არ მქონდა.

იმავე დღეს ჩამიყვანეს ფოტოსურათის გადასაღებად და თითების ანაბეჭდის ასაღებად. როდესაც ტარანივით გამხმარ რუს ზედამხედველს დასვრილი ხელების გასაწმენდად ქაღალდი ვთხოვე, მან გულდად დაჭმუჭნილ ქაღალდებზე მიმითითა. მოვკიდე თუ არა ქაღალდს ხელი, ვიგრძენი, ეს ისეთივე ბლანკი ტყო, რომელზედაც ჩემი ანაბეჭდი აიღეს. გავშალე და ზედ რუსულად მექვაბიშვილი შოტა ვიქტოროვიჩ, 1927, წავიკითხე. თუ შეიძლებოდა ჩეკისტების ფანჯრისაკენ ახედვას შეცდომაში შევეყვანე, აქ შეცდომა აღარ შეიძლება ყოფილიყო. ანაბეჭდი გარკვევით არ ჩანდა და ამიტომ ბლანკი გაუქმებული იყო. მოკრა თუ არა ზედამხედველმა თვალი, რომ გავშალე და რაღაცას ვკითხულობდი, ხელში მეცა.

— ნუ გეშინია, — ვუთხარი, — მე უკვე ვიცოდი, რომ მექვაბიშვილი დაპატიმრებულია. თუ ვიტყვი, რომ ვიცოდი ოთარის აქ ყოფნა, ჩეკისტებს დავაბრალებ, მისი ფანჯრისკენ რომ იცქირებოდნენ, — და ხელი ქაღალდისაკენ გავუწოდე. მანაც, გაოცებულმა, ანგარიშმიუცემლად გამომიწოდა.

მეორე შემთხვევა რომელიც ჩემს პირველ დაკითხვამდე მოხდა: საკანში რაც მომცეს, იმის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად ვილაც ოსი კომენდატურის თანამშრომელი შემოვიდა. ხელში მუყაოს სამი საქაღალდე ეჭირა. როდესაც დაიწყო საქაღალდეში რაღაცეების აღნიშვნა, ორი საქაღალდე მაგიდაზე ამოტრიალებული დადო. საქაღალდეები, ეტყობა, უკუღმა ეჭირა ხელში, ამიტომ წარწერა ზევიდან აღმოჩნდა. მკაფიოდ გავარჩიე — რუსულად ეწერა ბათოშვილი აბრეკ შაბატოვიჩ, 1918. პირველი პატიმრობის დროს კუიბიშევში ეტაპით რომ ჩავედი, დამხვდა უამრავი კარგად ჩაცმული ებრაელი, რომლებმაც საბჭოთა კავშირში ისრაელის იმჟამინდელი ელჩის გოლდა მაიერის მოწოდებაზე მოსკოვის სინაგოგაში, დაბრუნებულიყვნენ ღმერთის აღთქმულ მიწაზე, შეადგინეს და ხელი მოაწერეს პეტიციას საბჭოთა მთავრობის მიმართ. იმედოვნებდნენ, რომ მთავრობა ნებას დართავდა, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში. როგორც ჩანს, ინტერნაციონალურმა საბჭოთა მთავრობამ ეს არ მოიწონა. ბერიამ ყველა ეს ორასი ათასამდე ებრაელი ერთ ღამეში აიყვანა პატიმრობაში. თვით ებრაელებიც გაოცებულნი იყვნენ, რომ ამდენი ებრაელის დაპატიმრების თარიღი ერთი და იგივე ღამე იყო. მაშინ თუ შეიძლებოდა ამდენის დაპატიმრება, ახლა რაღა იყო მაინცდამაინც სამი პატიმრის საქაღალდე ასეთი ნაცნობი გვარებით? მაშასადამე, მათ მეტი დასაპატიმრებელი აღარ ჰყავდათ. ამ ორისთვის ცი მე ერთმანეთის პიროვნებაზე არაფერი მითქვამს, მათ ერთმანეთის არსებობაც არ იცოდნენ.

როდესაც გამოძიება დაიწყო, საკმაოდ გამბედავად ვიყავი განწყობილი. გამოძიება ცდილობდა ჩემს დაბნევას და თავიდანვე რომ მიუგნებელი არაფერი დარჩენოდათ, მოითხოვდნენ ჩემი ანტისაბჭოთა მოქმედების აღიარებას. მე კი იმდენი გამოცდილება უკვე მქონდა მიღებული, რომ არ მელაპარაკა იმაზე, რაც მათ არ იცოდნენ. ამიტომ ვუცდიდი მათ მიერ ბრალდების წამოყენებას.

ჩემი ანტისაბჭოთა მოქმედებაა ის, რომ მე საბჭოთა კავშირში დავიბადე, — გაბრაზებულმა განვუცხადე გამოძიებას.

გამოძიებას აწარმოებდა საგამოძიებლო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ნადირაძე, დაბალი ტანის კაცი. ისეთი დაბალი იყო, როდესაც მის კაბინეტში შევედი, მომეჩვენა, თითქოს საწერ მაგიდაზე მისი თავი დაგორავდა. თითოეულს ცალკე კიდევ თითო გამომძიებელი გვყავდა, მაიორები და კაპიტნები. მათი საქმე ძირითადად ნადირაძის კაბინეტში ჩამორთმეულ ჩვენებებზე ოქმის შედგენა იყო, თავისით მაინცდამაინც დიდ ინიციატივას არ იჩენდნენ.

ვხედავ, ჩემი გადაღლის ტაქტიკას დაადგნენ. მე კი მოუთმენლად ველოდი გამეგო, რისთვის დამიჭირეს, ამიტომ ერთ-ერთ დაკითხვაზე პირდაპირ მივახალე, რომ მე ვიცოდი, ჩემს გარდა ვინ იყვნენ დაპატიმრებული და ვითომ სხვათაშორის დავძინე:

— ესენი მაინც არ იცნობენ ერთმანეთს, რასაც ალბათ უკვე მიხვდებოდით. ამიტომ ტყუილად აწვალებთ მეც და თქვენ თავსაც იწვალებთ, — მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა და რომ მეტი არ ვეწვალებინეთ, პირდაპირ მოვუყევი, ჯერ ჩეკისტებმა რა შეცდომა ჩაიდინეს და შემდეგ უკვე ცალკეული შემთხვევა კომენდანტთან და ფოტოგრაფთან.

— ეგ მაინც არ გიშველის, რადგან ჩვენ ყველაფერი ვიცით და ეტყობა, დანაშაულის აღიარება მაინც მოგიხდება, — საკმაოდ ცივად მითხრა ნადირაძემ.

ერთ დღეს თვით სუკ-ის უფროსთან, იმჟამად გენერალ-ლეიტენანტ ინაურთან ამიყვანეს. მამაშვილურად დამიწყო ლაპარაკი: მინდა, შენ თვითონ აღიარო დანაშაული, რომ ამით სასჯელი შეგიმსუბუქდეს, თორემ მე რა, გენერალ-ლეიტენანტი ვარ და მეტ წოდებას კი აღარ მომიმატებენო. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი სიტყვები. ჩემი გამოაშკარავებისათვის ვინ რას მისცემდა. მაგრამ ბედმა თავისი მაღალი შეფის, ხრუშჩოვის აყვანაც დააკისრა. მაშინ კი იცოცხლე, ერთი ვარსკვლავი უცბად მიუმატეს.

— ჩვენ კი ვიცით, რომ შენ მარტო არ იყავი, მაგრამ ისინი დაგაბრალებენ და შენ სხვაზე მეტ სასჯელს მიიღებ.

— ისინი რას ეტყვიან, როდესაც ერთმანეთს არც კი იცნობენ.

გენერალს სიამოვნებით გაეცინა:

— შენ თუ არავისთან გქონდა კავშირი, რა იცი, ისინი ერთმანეთს იცნობენ თუ არა?

— ვიცი, — მივუგე გულგრილად.

— საიდან იცი? — ჩამაცივდა გენერალი.

— უბრალოდ, აქედან ვიცი.

მაშინ ნადირაძემ სახე ახლოს მიუტანა გენერალს. გავიგონე მხოლოდ ხმადაბლა ნათქვამი: ამხანაგო გენერალო, — მერე ვერაფერი გავიგონე. მხოლოდ ხელის მოძრაობაზე შევნიშნე — ისე ამოძრავებდა, თითქოს ანაბეჭდს იღებდა. მერე ხელით რაღაცის გადაბრუნება აჩვენა. მხოლოდ, მანქანაში რომ ჩეკისტები მოიხარნენ და თავისი მზერის მიმართულება გასცეს, ამაზე, ეტყობა, არაფერი უთქვამს. გენერალს სახე უცნაურად დაღრეჯოდა.

— კარგი, წაიყვანეთ, — ხელი ჩაიქნია. ყველა ერთდროულად ავდექით. გუნებაში ვზეიმობდი გენერლის თავდაჯერების გაცრუებას. მზად ვიყავი, სიცილით გავცლოდი იქაურობას. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ, განა არ უნდა მცოდნოდა, ვის ხელში ვიყავი?

მეორე დღესვე მოხდა ჩემი და აბრეკის დაპირისპირება. რა თქმა უნდა, აბრეკი არ იყო უშუალო მონაწილე და მას მხოლოდ ვარაუდით შეეძლო ეფიქრა ჩემი ვინმეს მიერ ამ აქტში ჩათრევა. იქნებ, ჩემი ბრალიც არის, რომ მე მას ბოლომდე ყველაფერი არ განვუმარტე, რათა ცოტა სიფხიზლე გამოეჩინა. დაპირისპირებაზე, აბრეკმა თავისუფლად ილაპარაკა. ისე, თითქოს მართლაც ორთავე მამა აბრამის ბატკნები ვიყავით: „მე ალიკოს ვუთხარი", „მე მას ავუკრძალე", „მე ის დავარიგე", „მე მას ვასწავლე", ხშირად ისმოდა მის ნალაპარაკევში.

მაგრამ ოთარმა ხომ არაფერი იცოდა. როდესაც მას აიძულებდნენ, რამე ეთქვა, ვინ იცის, რას და როგორ მოყვებოდა. საკანში ჩასვლისას ერთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა გადავწყვიტე: ზამთრის მიუხედავად საკანში იმდენად მძიმე ჰაერია ხოლმე, რომ პატიმრები ყოველთვის ფანჯარას ღიად ტოვებდნენ. დღისით ციხის ეზოში სასეირნოდ გაყვანილი პატიმრების ხვეულებაც კი ისმოდა. მხოლოდ ღამით, სიწყნარეში, ადამიანის ხმა უფრო მკაფიოდ იყო გამოსარჩევი. იმ დროს საკანში მარტო აღარ ვიყავი, ჩემთან ჯანდარის მიმაგრების ბანაკიდან ვითომ დამატებით გამოძიებაზე ჩამოყვანილი ზაქარია ნოზაძე იყო. სხვათაშორის, მან სამწუხარო ამბავიც მამცნო. ოთარის მამა ვიქტორი, რომელიც მასთან იყო მიმაგრებაში, შვილის დაპატიმრების შემდეგ საბადრაგო ბანაკში გადაუყვანიათ.

აი, როდესაც კარგად დაღამდა და ჯერ კიდევ ძილის დრო არ გამოცხადებულიყო, ზაქრო კარებთან ზურგით დავაყენე ისე, რომ სათვალთვალო ნახვრეტიდან შემოხედვა შეუძლებელი ყოფილიყო. უცებ ავედი საწოლზე და ღია ფანჯარაში გავძახე.

— ოთარ!

— ო, ალიკო, — ხმა უცებ ვიცანი. ამ დროს ზაქრო მომვარდა: რას შობი, გცემენო. გაბრაზებულმა ხელი მოვუქნიე. იგი იძულებული იყო, დამდგარიყო თავის ადგილზე. იქიდან მეძახდა: ჩამოდი, მოდიანო.

**ალიკო მელაძე**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №№ 10, 11.

# იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან!

პატივცემულო მკითხველო!

გთავაზობთ კიდევ ერთ „ამინისტირებულ" თემას იმ „ტაბუ-კიდობანიდან", რომელსაც გასაგები მიზეზების გამო, მართალია, ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაედო ყადაღა, მაგრამ დღემდე არ დაუკარგავს მზის სინათლეზე გამოსვლის იმედი.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1988 წლის შემოდგომაზე სამტრედიის რაიონის სოფელ გორმაღლის მცხოვრებმა ვახტანგ პავლეს ძე მსხილაძემ გამოსაქვეყნებლად გადმომცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე დაწერილი განცხადება, რომელშიც იგი დაწვრილებით მოგვითხრობს 30-იანი წლების იმ რეპრესიების შესახებ, რომელიც მთელ ქვეყანასთან ერთად თავს დაატყდათ მას და მის თანასოფლელებს.

ვ. მსხილაძესთან პირად საუბარში ჩემთვის ცნობილი გახდა, თუ რა აუტანელ პირობებში ჰყავდათ იგი და მისი მეზობლები გამომწყვდეული სამტრედიის შინსახკომის ნესტიან სარდაფებში.

მე საშუალება მქონდა, ზედაპირულად მაინც დამეთვალიერებია ის ავადსახსენებელი სარდაფები, რომელიც მდებარეობს დღევანდელი ჯავახიშვილის ქუჩის № 3 სახლში. ეს ის ჯურღმულებია, ის ცოდვის სარდაფებია, სადაც ჯერ კიდევ უამრავი შემზარავი წარწერა იკითხება მრავლისმომსწრე კედლებზე, საფუძვლიანმა გამოკვლევამ და ძველ მობინადრეებთან გასაუბრებამ კი, ვინ იცის, ისტორიის რა ახალი ფურცლები გადაგვიშალოს... ადვილი შესაძლებელია, ამა თუ იმ წარწერამ დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულთა ასავალ-დასავალზეც აგვიხილოს თვალი. ჩვენმა შთამომავლობამ ყველაფერი უნდა იცოდეს.

იმის გამო, რომ ზემოთაღნიშნული სარდაფები ახლა მობინადრეთა საკუთრებას წარმოადგენს და გარდასული წლების კვალი ყოველ დღე ისპობა, ვთხოვდით შესაბამის ორგანოებს, ზემოთაღნიშნული სარდაფები დროებით დაელუქათ და საკვლევად გადაეცათ კვალიფიცირებულ სპეციალისტებს.

თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი განცხადება და ვახტანგ მსხილაძის წერილი ბატონი აკაკი ბაქრაძის რჩევით დაუყოვნებლივ ჩაბარდათ ადრესატებსაც და პრესასაც, მაგრამ... (რამდენი რამე გინდა ჩატიო კაცმა ამ დალოცვილ მრავალწერილში!).

აქვე ბოდიში მინდა. მოვუხადო ბატონ ვახტანგს, რომელსაც იმედი ვერ გავუმართლე და ვერ მოვახერხე ჯუმბერ პატიაშვილის სახელზე დაწერილი მისი წერილის გამოქვეყნება ჯერ კიდევ არსებული იმავე „საბჭოთა მიზეზების" გამო, რომლის „სიკეთეც" საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი და ამდენად სხვაზე უკეთ გამაგებს. იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან! იქნებ მომავალში ჯავახიშვილის № 3 სახლში საბჭოთა ინკვიზიციის მუზეუმიც კი შეიქმნას. აქ ხომ 30-იან წლებში ავადსახსენებელი შინსახკომი პარპაშებდა.

აქვე მინდა ფართო საზოგადოება ვთხოვო მხარდაჭერა, რათა რაიონისა და ცხენისწყლის შესართავთან, ი სადაც თვითმხილველთა გადმოცემი საბჭოთა ინკვიზიცია უდანაშაულ ადამიანებს ხვრეტდა და მარხავდ რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავს ყოფილ ღირსეულის ობელისკი. მან მდე კი კომპეტენტური სპეციალისტე ბის მონაწილეობით, სათანადო შესწა ლის შემდეგ გაითხაროს ცრემლით და სისხლით გაჟღენთილი მიწა, რათ ბათუმელთა მსგავსად მივაგოთ დაგ ვიანებული პატივი საბჭოთა რეჟიმი მსხვერპლ ჩვენს სისხლსა და ხორც

**ამირან კალაძე**

მწერალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი წერეთელი — 150

„... ასვენია ცხედარი სამშობლოს ალორძინების ქურუმისა. სამუდამოდ დახუჭულია მისი საამქვეყნო თვალები. მხოლოდ ზეციური სახე მისი, მარადისობის შუქით გაბრწყინებული მოგვაგონებს პირველ ქრისტიან პატრიარქთა და მოციქულთა სახეს. თეთრი თმა და წვერ-ულვაში მრცხლისფერ ნათელსა ჰფენს სახეს, რომელზედაც აღბეჭდილია სამუდამო მშვიდობა და ურყეველი სიმტკიცე...“

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (სურათებიანი დამატება), კვირა, 1 თებერვალი, 1915 წ.



# არიადნეს ძაფის ძიებაში

(დასასრული)

ვერ წაიწია წინ. 1987 წლის 10 მაისს რუსთავის პროკურატურის ოფიციალური დადგენილებით სისხლის სამართლის № 2812 საქმის წარმოება შეჩერდა ამნაშავე პირის დაუდგენლობის გამო.

ასე დაესვა წერტილი დ. გრძელიშვილის მუხანათური მკვლელობის გამოძიების საქმეს. უნდა ითქვას, რომ რუსთავის პროკურატურას თითი თითზე არ დაუკარებია 1987 წლის 10 მაისიდან დ. გრძელიშვილის გაუპატიურება-მკვლელობის საქმეზე არსებულ ათი ტომისათვის. თუ დავუშვებთ იმას, რომ პროკურორ ქურდაძეს თავის დროზე სათანადო წესით არ შეუმოწმებია ყველა ეჭვმიტანილი და ამაში მას ხელს უშლიდა „ოფიციოზი“ (რაც თავისთავად არ ნიშნავს გამართლებას), ანუ პარტიის დიქტატი, დღეს რუსთავის პროკურორს (ლომიძეს) ეს დაბრკოლებები წინ აღარ ელობება. ხელს არავინ უშლის და მიუხედავად ამისა, არავინაა დაინტერესებული დ. გრძელიშვილის მკვლელობის საქმეზე შეჩერებული წინასწარი გამოძიების განახლებით.

ხუთი წლის განმავლობაში იძიებდა საქმეს რუსთავის პროკურატურა პროკურორ ქურდაძის ზედამხედველობით და ერთი ხეირიანი ვერსიაც ვერ დაადგინა, არიადნეს ძაფის მოვალეობას რომ შეასრულებდა, და გამოძიებას ჩიხიდან გამოიყვანდა. თუ როგორ წარმართავდა პროკურორი ქურდაძე ამ უმძიმესი დანაშაულის გამოძიების ხელმძღვანელობას, ამის ნათელი დასტურია რესპუბლიკის პროკურორის წინაშე აღძრული ის შუამდგომლობები, სადაც ლობე-ყორეს მოდებული გამოძიება თითიდან გამოწოვილი მიზეზების მოშველიებით საგამომძიებლო ვადის გაგრძელებას ითხოვს.

დანაშაული თავისი ხასიათით უმძიმეს კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თუკი გავითვალისწინებთ დ. გრძელიშვილის გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოების მღელვარებას და მაშინდელი ცკ-ს პირველი მდივნის დაპირებას, პროკურორ ქურდაძეს უშუალოდ ევალებოდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა და მისი პირადპირი ხელმძღვანელობით სწორი გზით წარმართულიყო საქმის გამოძიება. საქმეში კი რა მოგვეპოვება? განა შეიძლება იმის დაშვება, რომ რესპუბლიკის პროკურატურას არ სცოდნოდა რუსთავის პროკურატურის გასაჭირი, თუ დავუშვებთ, რომ არ იცოდა ან კარგად არ იცოდა, მაშინ რისი მაქნისია საერთოდ რესპუბლიკის პროკურატურა?! ამიტომ ვუშვებთ, რომ იცოდა! მსგავს შემთხვევებში, უაღრესად რთულ საქმეებზე რესპუბლიკის პროკურატურა თავის თავზე იღებს მთლიანად გამოძიებას და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ გამომძიებლებს ანდობს საქმეს.

კონკრეტული საქმე კი რუსთავის პროკურატურას არ გასცილებია, ხან ერთ გამომძიებელს ედო სეიფში, ხან მეორეს და ასე გრძელდება 10 წელი.

შაოსან დედათა მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის მუშაობის შესახებ პრესის მეშვეობით მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია საზოგადოება. გაზეთ „თბილისის“ ერთ-ერთ ნომერში დარეჯან გრძელიშვილის გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტზეც გამახვილდა ყურადღება. იმავე გაზეთის 7 მაისის ნომერში დ. გრძელიშვილის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, კომისიის პუბლიკაციას შესაშური ოპერატიულობით გამოეხმაურა ქ. რუსთავის ყოფილი პროკურორი მ. ზ. ქურდაძე. სადაც ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ ეთიკური ნორმების დარღვევით ეჭვის ქვეშ დააყენა კომისიის მუშაობის საკითხი. ლოგიკურად ისმის კითხვა, რატომ აეწვა კუდი ქ. რუსთავის ყოფილ პროკურორს? ამ საქმესთან დაკავშირებული ძველი ცოდვების გამომზეურების შეეშინდა თუ პროფესიონალურმა თავმოყვარეობამ არ მოასვენა?! ამ საჩოთირო კითხვებზე პასუხი მომავლისათვის გადავდოთ და ბატონ პროკურორს შევახსენოთ, რომ პიროვნების ღირსებას ეხებიან მხოლოდ მაშინ, როცა საქმეზე სალაპარაკო აღარაფერი აქვთ!...

არ ვიცი, როგორ გაგვიგებენ, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი საყვედური არ გამოვთქვათ ახლად დაარსებული გაზეთის „ცხოვრება და კანონის“ გამომცემელთა მისამართით. უკვე ოთხი ნომერი გამოვიდა და, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოინახა უმცირესი ადგილიც კი რომელიმე ნომერში, სადაც სამხატვრო გალერეას წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეეხმიანებოდა. უფრო მეტიც, ჩვენ საფუძვლიანად გვეეჭვება, „ცხოვრება და კანონი“ თავისუფალი დამოუკიდებელი იურისტების გაზეთი იყოს. გაზეთის პირველსავე ნომერში მისმა გამომცემლებმა (ალბათ ლოიალურობის დამტკიცების მიზნით) საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმეს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების რჩევა-დარიგებას, უფრო სწორედ „ინსტრუქტაჟს“, თუ როგორი უნდა იყოს, საქართველოს იურისტთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. განა საქართველოში უწყებრივი ინტერესებისაგან თავისუფალი იურისტი არ მოიძებნა, რომ დამოუკიდებელი გაზეთის დანიშნულებაზე ნეიტრალური იურისტის მოსაზრებასაც გავცნობოდით?!

ძალიან კარგად მესმის ჩემი სალტო მორტალე და ისიც ვიცი, რომ მაფია უკვდავია და ჩემი ეს ნახტომი შეუცნობელში დამოკლეს მახვილის ქვეშ დადგომის ტოლფასია, მაგრამ არ ვნანობ და უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ნუ წავუყრუებთ ამ საზარელ დანაშაულს. თუ ჩვენ დარეჯან გრძელიშვილის საშინელ მკვლელობაზე ხელი ჩავიქნიეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მის მკვლელებზე და მწვალებლებზე არანაკლები დამნაშავენი თავად ვართ და სინდისის გასაწმენდად ისღა დაგვრჩენია დარეჯან გრძელიშვილის საფლავიდან აღებული პეშვი მიწით ამოვივსოთ პირი.

**გია თასოევი,**

## P.S. არარსებული სამართლის მოლოდინში

სამოცდაათი წლის განმავლობაში, დაჟინებით ჩაგვჩიჩინებდნენ და ჩვენც ქვევრის ამოძახილივით ვიმეორებდით, რომ ყველაზე სამართლიან და ჰარმონიულ ქვეყანაში ვცხოვრობდით. სინამდვილეში კი სული გვეხუთებოდა კლასიკურ არასამართლებრივ სახელმწიფოში. კონსტიტუციური უფლებით მონიჭებულ ნორმებს არღვევდა ის, ვისაც უშუალოდ ევალებოდა მისი დაცვა. შეხსენება კანონიერების დაცვაზე თემიდის მსახურთათვის მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასი იყო. ადამიანთა უფლებების დარღვევა, დევნა-შევიწროება საყოველთაო მოვლენა გახდა.

დღეს დარეჯან გრძელიშვილის გულმოკლული დედა სამხატვრო გალერეის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეა. იმედს არ კარგავს და სხვა მრავალ შვილმოკლულ დედებთან ერთად ისიც ელის პასუხს თავისი შვილის მკვლელთა დაუსჯელობისათვის. არის კი რაიმე იმედი არარსებული სამართლის მოლოდინში განაწამები ქალბატონი შუშანა გრძელიშვილისათვის?! პასუხი შენთვის მომინდვია, მკითხველო!

**რედაქციისაგან და საქართველოს სახალხო ფრონტისაგან:** **როგორც ცნობილია, არავის, გარდა სასამართლოსი, არა აქვს უფლება, დანაშაულის ფაქტი დაადგინოს. ამიტომ ჩვენც მოკლებულნი ვართ საშუალებას, მკითხველს შევთავაზოთ რაიმე კონსტატაცია მომხდარის გამო: ჩვენ მხოლოდ საქვეყნოდ გამოგვაქვს საქმეში არსებული ზოგი მასალა, რათა მკითხველმა თავად შეიქმნას წარმოდგენა საქმის ვითარებაზე, გაზეთის ფურცლები თავისუფალია ნებისმიერი ოპონენტისათვის.**

**წინამდებარე პუბლიკაციის ტექსტს იცნობენ იურისტები, რომლებიც შაოსანი დედების მოთხოვნის შესაბამისად მუშაობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 18 ნოემბერს გამოყოფილი კომისიის შემადგენლობაში.**

**სსფ-ს თავმჯდომარე, ზემოხსენებული კომისიის თავ-რე ნ. ნათაძე;**
**გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი მ. ფაჩუაშვილი.**

## შემდეგ ნომერში:

სამწუხაროდ, წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ მიზეზთა და მიზეზთა გამო. ისე კი, გვერწმუნეთ, ბევრი საინტერესო რამ გელით.

### გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, სამწუხაროდ, გაიპარა რამდენიმე შეცდომა.

რუბრიკით „წერილები რედაქციას“ გამოქვეყნდა გია თასოევის წერილი „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ამ წერილის მე-3 სვეტის ბოლოს წინა აბზაცის ბოლოდან მე-5 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: **პროკურორ თალაკვაძის მოთხოვნა...** შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ირაკლი წერეთლისადმი მიმართულ ღია წერილში, ბოლო მე-4 სვეტის ზემოდან მეორე აბზაცის პირველი წინადადება უნდა იკითხებოდეს: **სხვათა შორის, პირველი თქმა თქვენ გეკუთვნით „ეროვნული მოძრაობის პატრიარქზე“. დღეს ამ „პატრიარქს“ რაღა არ აკადრეთ.** შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს.

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟანაშიას ქ. № 17. ტელ.: 998-081.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში
XV
რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი